ლელო

№ 30
(11 282)

23 – 26 აპრილი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კოპალეიშვილის ნაკრებმა ურიგოდ არ დაიწყო

საქართველოს 18 წლამდე ასაკის საფეხბურთო ნაკრები, რომელსაც ვახტანგ კოპალეიშვილი წვრთნის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში სტუმრად შეხვდა ჩეხეთის ნაკრებს და ფრეს დასჯერდა — 2-2. შემდეგ შეხვედრას ჩვენი ჰაბუკები ბათუმში ჩაატარებენ.

UEFA ევროპის საკლუბო ჯურნირები იხ. 22-3 გვ.

ახალი ამბები სფფ-დან

უეფას ვიცე-პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა სურს

შარშან, დეკემბერში უეფაში სტუმრობისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჯორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ უეფას ქართული ფეხბურთის განვითარების პროექტი წარუდგინეს. უეფამ ეს პროექტი მოიწონა. აღმოსავლეთ ევროპის განვითარებისა და დახმარების დეპარტამენტის უფროსის ერიხ ეპლეს ცნობით, სიტუაციის ადგილზე შესასწავლად უეფას წარმომადგენლები თბილისს აპრილ-მაისის თვეში უნდა სწვევოდნენ. მართლაც, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი და ფიფას აღმასკომის წევრი პერ რაუნ ომდალი თბილისში ოფიციალური ვიზიტით 25 აპრილს ჩამოვა. უეფამ სფფ-ს აცნობა ვიზიტის შესახებ და სთხოვა, მოეწყოთ შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან 26 ან 27 აპრილს, ან უკიდურეს შემთხვევაში 28 აპრილს, დილით. ბატონ ომდალს სურს, საქართველოს პრეზიდენტს პირადად ესაუბროს ქართული ფეხბურთის მომავალზე. ერთი სიტყვით, უეფა მზადაა, დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პერ რაუნ ომდალი იმავდროულად აღმოსავლეთ ევროპის დახმარებისა და განვითარების ბიუროს (EEAB) საბჭოს თავმჯდომარეცაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უეფა თავის სიტყვას და მოვალეობას ასრულებს. ახლა ჯერი ქართულ მხარეზეა...

აფხაზეთის ფეხბურთის დასახმარებლად

უეჭრის ქართულ ფეხბურთს საერთოდ და, რა გასაკვირია, რომ აფხაზეთის გუნდებში განსაკუთრებით მძიმე იყოს მდგომარეობა. გამოსავლის ძიებამ ჩვენი ეროვნული საფეხბურთო მეურნეობის მესაჭეები თბილისში საქველმოქმედო მატჩის გამართვის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდები.

მატჩი 12 მაისს, 18 საათზეა დანიშნული.

ანატოლი მილჩენკო გვასწავლის...

გუშინ, სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში, მას შემდეგ რაც აქ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ჟურნალისტებთან შეხვედრა — პრესკონფერენცია დაასრულა, მასმედიის წარმომადგენლები, ისინი ვინც ფეხბურთის აშუქებენ, უმალვე ,,მოსწავლეებად'' იქცნენ — პრესკონფერენცია-სემინარი ჩაატარა სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი მილჩენკომ.

კოვერჩიანოს სკოლა გიწვევთ!

მსოფლიოში სახელგანთქმული კოვერჩიანოს მწვრთნელთა სკოლიდან საქართველოში მოვიდა 10 მწვრთნელის ლიმიტი. ჩვენს საფეხბურთო მწვრთნელებს, ვისაც სურვილი გააჩნია ისწავლოს ამ სკოლაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. საფეხბურთო მწვრთნელების ახალ ნაკადს სკოლა 17 მაისს მიიღებს.

ეს იყო, რა იქნება მომავალში?

ქვეყნის სპორტული ცხოვრების ამსახველი ზოგიერთი მონაცემები 1991-1998 წწ.

წლები	ღონისძიებების რაოდენობა		მონაწილეთა რაოდენობა		გახარჯული სახსრები		მედლების რაოდენობა			
	რესპ.	საერთაშ.	რესპ.	საერთაშ.	ეროვნ. ვალუტა	აშშ $-ში	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.	სულ
1991	59	24	4130	192	26300000 რუბლი	231300 აშშ $	15	9	11	35
1992	115	31	6900	248	121000000 რუბლი	187000 აშშ $	29	16	29	74
1993	107	52	6200	416	1844000000 კუპონი	503960 აშშ $	51	38	41	130
1994	98	41	4200	290	61924000000 კუპონი	659600 აშშ $	40	27	35	102
1995	91	74	6080	730	1603900 ლარი		43	37	47	127
1996	40	59	3770	590	2608500 ლარი		37	25	35	97
1997	122	147	8316	1332	4087200 ლარი		49	40	49	138
1998	90	140	4977	1224	2886900		51	46	65	162
1998	31	42	1230	405						
1999	11	23	380	121						

რაოდენ ხელსაც, ვითამაშებთ საბანგაშოს. საერთოდ ცნობილია, რომ თუ საახალწლიო ბიუჯეტიდან დაუფინანსებელი ეროვნული ნაკრების ბენეფისია არ არის და თანხის მოხსნა თუნდაც შეიძლება, ის დაკრძალეა. ქართული სპორტის კეთილი ანგელოზი ბანია დანუკვალია და თუ იგი დაუყოვნებლივ არ შეეხმაურა შეიძლე საუკუნის დასასრულს ერთ-ერთი ყველაზე საშარბაზინო შეხვედრა ჩაიწერება ქართველი ერის მახსოვრებაში.

არის თუ არა გაგონილი? ქარგა ხანია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ხელისუფლებას სთხოვს გადაიდგას ის ნაბიჯი, რაც პრაქტიკულადაა აპარტიერეული შიელ ქსოფლიოში – ლაბარინის შეეხსენოს მოხვარდეს სპორტს, რისთვისაც უნდა მოხდეს ყველა ლაბარინის ცენზრალიზება და დეკენტრალიზება ხელისუფლების კონტროლს. მით უმეტ, რომ ჩვენი კანონმდებლობა ჯერჯერობით „ვერ იღლიან" ქართული სპორტისთვის და არც ერის გაჯანსაღებაში რაიმე წვლილის შეტანა სურთ. საბედნიეროდ, ამის მეღვლოდაც არ არის.

პირადად პატარძალის, უმეტესობის ყველაზე ეაღალანგარიშიანესი ქვეყნებს ეპაძავთ ყველაფერში, თამ შორის კანონების მიღებაშიც და ლაბარინების საკითხი კი ვერ გადაგვიწყვეტია, არადა, პრობლემა დიდი ხანია ვზადაა. იქნება ახლა ვაინც დაეფიქრდეთ და აგრესიაში ეყოს ქართულ სპორტს დრმულად შეეხედოთ „ნაბიჯს".

რა თქმა უნდა, თითოეული ლაბარინის მიღმა ბევრი ჩინოსანი თუ „ხალხის ბედზე მზრუნველი" რჩეული დგას. იქნებ ვიკეთრთ, იქნება ახლა ქვეყანას დაუფიქრდეს ბევრიმ და გადეაჭრინოთ მისი უნიკალური შენობები, რომელსაც ქართული სპორტი პქვია.

საერთაშორისო გამოფენა თბილისში

რეკორდულ დროში. მხოლოდ სამ თვეში შეძლეს „კავკასიური ტურისტული გამოფენის" ორგანიზება ტურიზმის დეპარტამენტმა და საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიამ". ეს ჩვენში ასეთი გამოფენის მოწყობის პირველი შემთხვევაა. დაინტერესებაზე კი ისიც მიანიშნებს. რომ მასში 12 ქვეყნის 70 ფირმა, საქართველოს 5 სამინისტრო და 6 სამხარეო რგოლი მონაწილეობს. ფაქტობრივად ესაა ბაზრობა, სადაც დაინტერესებული ორგანიზაციები თავიანთ შესაძლებლობებს სთავაზობენ მომხმარებელს. ბაზრობის პროგრამაში შედის აგრეთვე კონფერენცია „მშვიდობიანი კავკასია – ერთიანი ტურისტული გარემო". გამოფენა სამდღიანი იყო და ხვალ დასრულდება.

დაბოიკოტებს ამერიკა სოჩის შეხვედრებს?

აშშ-ი, როგორც ჩანს, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას ყველა სფეროში ესწრაფვის, მათ შორის სპორტშიც და, კერძოდ, ოლიმპიურ მოძრაობაში. სხვა რით უნდა ავხსნათ ის, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ მისი ზოგიერთი წევრის მექრთამეობაში მხილების გამო ატეხილ აჟიოტაჟში ახლა აშშ-ის კონგრესიც კი ჩაერია. კონგრესმა სამართანჩს უცერემონიოდ შესთავაზა გადადგომა, ამასაც არ დასჯერდა და სოკის პრეზიდენტი კონგრესშიც კი მიიწვია... ჩვენების მისაცემად. თუ რა რეაგირებას მოახდენს სოკი ამერიკელთა „თავხედობაზე", ჯერ არ არის ცნობილი. როგორც იტყობინებიან, სოჭში ღიმილი გამოუწვევია ამერიკის პოზიციას. მაგრამ... ამერიკელებს ხუმრობა რომ არ უყვართ, იუგოსლავიის მაგალითზე დაამტკიცეს.

იმედია, „მსოფლიოს ახალი პატრონები" სოკის შტაბს ლოზანაში არ დაბომბავენ. თუმცა, ცივი ომი გაჩაღებულია და ნაღმიც ჩადებულია.

კოუ ისევ არენაზეა!

ოღონდ ამჯერად კომერციულ სფეროში. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი სებასტიან კოუ ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. სხვათა შორის, სპორტიდან წასვლის შემდეგ იყო პარლამენტარი და აქტიური ოპოზიციონერი. კოუ ამიერიდან იმისთვისაც იბრძოლებს, რომ ბრიტანეთმა მძლეოსანთა 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს.

თურქეთს შეიძლება ჩამოართვან

ამ ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარება შეიძლება იქცეს იმის საბაბად, რომ სტამბულს უარი უთხრან წყალთა სახეობებში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, რომლის ჩატარება იქ, წლეულს, 22 ივლისს – 1 აგვისტოს იყო დაგეგმილი. პირველმა პანიკა გერმანიამ ატეხა. ამასთან, ვენა და მიუნხენი მზად არიან თავიანთთან ჩაატარონ ეს ჩემპიონატი. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ არასტაბილური პოლიტიკური ვითარება არაფერ შუაშია – გერმანელებს, უბრალოდ, შიში აქვთ, რომ სტამბულში უკეთ ვერ იასპარეზებენ, ვიდრე შინ.

გუშინ, ცნობილი გახდა, რომ იტალიელ ჟურნალისტთა აზრით, ერთ-ერთი იტალიური კლუბი მზადაა ქართველ ლეგიონერ ზაზა ჯანაშიაში 12 მილიარდი ლირა გადაიხადოს!

ევროპის ნაკრებები

გაზდით და რას ერჩით!

თავისუფლების მოპოვების შემდეგ ჩვენში ზოგიერთს უცნაური აზროვნების თავისუფლება დასჩემდა, არა, იმას არ ვამბობთ, რომ ეს ცუდია, მაგრამ კაცმა ისეთი რამ არ უნდა მოისაზროს და, აჭოდა, ძალა შემწევსო, რეალობად არ აქციოს ის, რაც აბსურდულად გამოიყურება, რაც საქმეს ვნებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ იმაზე მეტი რა გინდათ, როცა სკოლებში ფიზიკურის გაყვეთილებსაც კი თვითნებურად იღებენ ცხრილიდან, სამგორის რაიონში კი ახალმა „იდეამ" ჰპოვა გასაქანი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის ყოფილ და ახლანდელ გამგებლებს – ერთმა სპორტსკოლა და სპორტკომიტეტი შეაერთა, მეორემ – მისმა ადგილმონაცვლემ კი რაიონის სპორტკომიტეტი საერთოდ ზედმეტ სტრუქტურად მიიჩნია და... გააუქმა. ასე გახდა სამგორის რაიონი ერთადერთი „თითით საჩვენებელი" დედაქალაქში, რომელსაც სპორტის ხელმძღვანელი რგოლი აღარ გააჩნია.

ბავშვს ჰკითხეს რა გატირებსო: „გამდის და ვტირიო".

ამ ხალხსაც გასდის და რას ერჩით!

რეპლიკა

ნინო ლუარსაბიშვილი: სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ ხვდებიან, რომ ჩოგბურთში დიდი ფული ტრიალებს...

ნინო ლუარსაბიშვილი დაიბადა 1977 წლის 3 თებერვალს, თბილისში. ჩოგბურთში ვარჯიში დაიწყო 7 წლის ასაკში „შევარდენის" კორტებზე გიორგი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით. 15 წლისა გადავიდა მოსკოვში მწვრთნელ ევგენი პოზდნიაკოვთან, რომელთან ერთადაც ერთი წლის შემდეგ აშშ-ში გაემგზავრა.

სიმაღლე 182 სმ. წონა 62 კგ. უმაღლესი რეიტინგი WTA-ტურის კლასიფიკაციაში — 125. 1996 წელს იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი იუნიორთა შორის. ვეგეტარიანელია, უყვარს შოკოლადი. ბევრს კითხულობს და თავისუფალ დროს წიგნებთან ერთად მუსიკითა და თეატრითაც ერთობა.

რამდენიმე წლის წინ, ნინო ლუარსაბიშვილი ჩვენი უმთავრესი საჩოგბურთო იმედი იყო. ის რეაქტიული სიჩქარით მიიწევდა ოლიმპისკენ და 16 წლისამ თვრამეტწლიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. დიდი წარმატებებისთვის საფუძველი ჩაყრილი იყო, აქედან, უკვე პროფესიული ჩოგბურთი იწყებოდა...

მასთან ჩვენი საუბარი, თბილისში „მზიურის" საჩოგბურთო კორტებზე, სწორედ ამით დაიწყო.

● *ნინო, რამ განაპირობა წარუმატებულობათა სერია?*

— ძნელია იუნიორობიდან პროფესიონალებში გადასვლა. თანაც ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ მიწევდა ტურნირებში ასპარეზობა და ყოველივე ამას ქრონიკული ტრავმებიც დაერთო.



● *რატომ უმწვრთნელოდ, თქვენ ხომ ამერიკაში პირად მწვრთნელთან, ევგენი პოზდნიაკოვთან ერთად გაემგზავრეთ?*

— ამერიკაში პოზდნიაკოვი მიიწვიეს და მე მას გავყევი. არანაირი კონტრაქტი არ გაგვიფორმებია. იყო პირადი შეთანხმება მისი მეთვალყურეობით ვარჯიშის შესახებ და ეს შეთანხმება დღესაც ძალაშია. ჩვენს შორის ნორმალური დამოკიდებულებაა, მაგრამ უფულობის გამო არ შემიძლია ტურნირებზე მისი მგზავრობა დავაფინანსო და, აქედან გამომდინარე, უმწვრთნელოდ მიწევს ხოლმე თამაში.

● *ნუთუ ვერ მოხერხდა სპონსორების დაინტერესება, რომ ელემენტარული ფინანსური პრობლემები გადაგეჭრათ?*

— სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ ხვდებიან, რომ ჩოგბურთში დიდი ფული ტრიალებს და ამ საქმეში ჩადებული ყოველი ლარი, ცოტა ხანში ათმაგად დაგიბრუნდება. ჩვენთან ჩოგბურთელის აღზრდა მთლიანად მშობლების ხარჯზეა, არადა, ყველა ქვეყანაში სპონსორები აქტიურად თანამშრომლობენ არათუ პროფესიონალებთან, არამედ იუნიორებთან და დამწყებ ჩოგბურთელებთანაც კი.

● *როდესაც პროფესიონალებში თამაში დაიწყეთ, ერთბაშად რამდენიმე გახმაურებული გამარჯვება მოიპოვეთ და რეიტინგშიც 125-ე იყავით. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?*

— ზუსტად არ ვიცი. რეიტინგში კი ვდგავარ, მაგრამ სადღაც მესამე თუ მეოთხე ასეულში უნდა ვიყო. ბოლო ხანებში საერთოდ არ მითამაშია ტრავმის შემდეგ. სამი თვეა, რაც თბილისში ვარ და თეიმურაზ კაკულიას მეთვალყურეობით ვვარჯიშობ.

● *ცნობილია, რომ ჩოგბურთელ ქალებში საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა და მათ შორის მეგობრები თითქმის არ გვხვდებიან. თქვენ თუ გაქვთ ვინმესთან კარგი დამოკიდებულება?*

— ახლო ურთიერთობა მაქვს ლარისა ნეილანდთან, ნატაშა ზვერევასთან, მირიანა ლუჩიჩთან, მაიოლისთან. საერთოდ, ბევრნი არიან ნორმალური, მოწესრიგებული და გულთბილი ადამიანები.

● *მარტინა ჰინგისზე რას იტყვით?*

— ჰინგისი ნორმალური და, რაც მთავარია, უნიჭიერესი ჩოგბურთელია.

● *როგორ ფიქრობთ, შეძლებს ვინმე უახლოეს მომავალში ჰინგისს პირველობაში შეეცილოს?*

— არა მგონია. ძველი თაობის წარმომადგენლებს, ამ მხრივ, საერთოდ გამოვრიცხავ. კონკურენციას კი, ჰინგისს, ალბათ, ვინუს უილიამსი და ლინდსი დევენპორტი გაუწევენ.

● *თქვენი აზრით, საქართველოში თუ არიან პერსპექტიული ჩოგბურთელები, რომელთაც უახლოეს მომავალში მაღალი მიზნებისათვის ბრძოლა შეეძლებათ?*

— ნამდვილად არიან. არის მთელი წყება ნიჭიერი ბავშვებისა, რომელთაც ფინანსური პრობლემების მოგვარების შემთხვევაში, შეუძლიათ მაღალ დონეზე თამაში.

● *წლეულს საქართველოს ქალთა ნაკრებმა ფედერაციის თასზე წარმატებას მიაღწია. რა გეგმები გაქვთ, ამ მხრივ, სამომავლოდ?*

— ნაკრების შემადგენლობაში ყოველთვის ვთამაშობდი და ვითამაშებ კიდეც, თუ გამომიძახებენ.

● *როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?*

— სექტემბერ-ოქტომბერში ვითამაშებ თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირებზე. საერთოდ, კარგია, რომ ლეილა მესხის ინიციატივით და „ქართუს" მხარდაჭერით, უაღრესად კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. შარშანდელთან შედარებით, თბილისის ტურნირი აშკარად უფრო პრესტიჟული გახდა, და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ამ ტურნირების შემდეგ, ალბათ, ისევ ამერიკას მივაშურებ და პოზდნიაკოვის ხელმძღვანელობით გავაგრძელებ ვარჯიშს. იმედი მაქვს, ტრავმებიც აღარ შემაწუხებს, ფინანსურ პრობლემებსაც რაღაც ეშველება და მოვახერხებ, რომ ძველებურად ავთამაშდე.

● ჩვენც ამის იმედი გვაქვს ნინო!

ესაუბრა
ვლადიმერ მარგალიტაძე,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი

SOS

ვემშვიდობებით სპორტსკოლებს?

ქართული სპორტის ძლიერების, მისი აწმყოსა და მომავლის მყარი ბალავარი ათწლეულებში ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები იყო. დღემდე, მართალია, შემცირებული კონტიგენტით, კეთილმოუწყობელი ბაზებით, უინვენტაროდ და უსახსრებოდ ეს სკოლები ასე თუ ისე კიდევ შემორჩნენ, მაგრამ როგორც ჩანს, აღსასრული მალე დადგება. განსაკუთრებით ეს ეხება განათლების სისტემის და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ყოფილ რესპუბლიკურ სკოლებს. საქმე იქითკენ მიდის, რომ შემცირებული დაფინანსება და დაგვიანებული ხელფასებიც კი, სანატრელი გახდება. ამჟამად „შევარდენის" სკოლების ბედზე შევჩერდებით. ამ სკოლებს პროფკავშირების ფონდი აფინანსებდა. ახლა ეს ფონდიც უარს ამბობს თანხების გამოყოფაზე და ათასობით ბავშვის ბედი, ქართულ სპორტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ცისანაბარად რჩება.

საკითხავია, პროფკავშირებს და მის სოციალური დაცვის ფონდს, აღარც ქართული სპორტი ადარდებს, და აღარც მომავალი თაობის აღზრდა?

გამოფენა

თამაზ ქიქავას 400 მახვილი მზერა...

საუბედუროდ, საქართველოში ფოტოგამოფენებიც მოგვენატრა. მაგრამ ახლა ეს ვაკუუმი ერთგვარად შეავსო გამოფენამ, რომელიც დედაქალაქში, მაჩაბლის ქუჩაზე სახალხო დამცველის ოფისის დარბაზში მოეწყო. ნამუშევრების ავტორმა, ენერგიულმა რეპორტიორმა თამაზ ქიქავამ 400 რჩეული, პატრიოტული ჟანრის ფოტო წარმოადგინა. ძირითადად დომინირებს ორი თემა – ისტორიული ძეგლები და საცხენოსნო სპორტი – ჩვენი ერის ყველაზე ძირძველი მემკვიდრეობა. გამოფენა სახალხო დამცველის ბატონ დავით სალარიძის ხელშეწყობით მოეწყო და ეს სიმბოლურიცაა – ადამიანებს, ხალხს, აქვს უფლება შთამომავლობას შემოუნახოს ისტორიული მეხსიერება. ამასთან, ბატონი დავით სალარიძე დიდხანს ედგა სათავეში საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციას და ამ გამოფენით ერთხელ კიდევ გამოავლინა ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობისადმი თანადგომა.

გამოფენის გახსნაზე მოსული საზოგადოებრიობა კმაყოფილი დარჩა წარმოდგენილი ნამუშევრებით.

– ალბათ, უნდა გამოინახოს შესაძლებლობები, რომ ექსპონატები ალბომად გამოიცეს. გამოფენაზე ვიხილეთ ძვირფასი ფოტოდოკუმენტები, რომლებსაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და იმსახურებს კრებულად დაისტამბოს – თქვა ედუარდ შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ.

ფირმა „ყაზბეგის" თაოსნობით გამოიცა წიგნი „მისი აღმატებულება ლუდი". ეს პირველი მცდელობაა გააცნოს ქართველ მკითხველს ლუდის წარმოშობის საუკუნოვანი ისტორია. მისი წარმოებისა და მოხმარების წეს-ჩვეულებანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, წიგნიდან შეიტყობთ თუ რა გამოყენება აქვს ლუდს მედიცინაში, კოსმეტიკასა და კულინარიაში. გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

ქართული რეკორდი

ქართველები გერმანელებს ლუდის სიყვარულში რომ ვერ გავეჯიბრებით ამას დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. აბა, რა მოსატანია ჩვენში წელიწადში დალეული 10-15 ლიტრი ლუდი გერმანელების 150 ლიტრასთან. და მიუხედავად ამისა სწორედ ქართველია გერმანიაში ლუდის სმაში დამყარებული უნიკალური რეკორდის ავტორი.

1974 წელს გერმანია ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს მასპინძლობდა. მატჩებზე დასასწრებად გერმანიაში ჩასული იყო ტურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი საქართველოდან. მიუნჰენის სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ერთად მოუწიათ ცხოვრება გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელ მიხეილ მესხსა და ახალგაზრდა თბილისელ მეცნიერს დემურ დანელიას, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერული მოღვაწეობის გარდა, ცნობილი იყო როგორც კარგი მსმელი და თამადა.

ერთხელაც მორიგი მატჩის შემდეგ სასტუმროში მობრუნებული მიხეილ მესხი დემურ დანელიას ეუბნება — კაცო, გავიგე, რომ ლუდის სმაში შეჯიბრება ეწყობა, რეკორდსმენიც კი ჰყოლიათ, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ძალოსანი, ამერიკელი გოლიათი, 180 კილოგრამიანი პაულ ანდერსონი, რომელსაც ერთ საათში რვა ლიტრი ლუდი დაულევია. სანაძლეოს დაგიდებ, რომ ეს ვილაც ანდერსონია ჩვენებურ ღვინოს სამ ლიტრასაც კი ვერ დალევს, შენ კი ქეიფის დროს ერთი ვედრო შეგიძლია დალიო. ეს ლუდი კი რაა, რომ მაგას რეკორდი ვერ მოუხსნა?



მეგობრის დაჟინებულმა თხოვნამ გასჭრა და დემურიც დათანხმდა მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებაში, თუმცა ერთი წინააღმდეგობა იყო დასაძლევი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო 1000 გერმანული მარკა, რაც არა თუ დემურ დანელიას, ყველას ჯიბეები რომ ამოეფხიკათ, მაინც ვერ გროვდებოდა. ეს პრობლემაც მალე მოიხსნა. მიუნხენში ცხოვრობდნენ დემურ დანელიას ნათესავები — ცნობილი მეცნიერები ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, რომლებმაც აღნიშნული თანხა გადასცეს დემურს და წარმატება უსურვეს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის პირობები საკმაოდ მკაცრი იყო. ვინც თავის მოწინააღმდეგეზე მეტ ლუდს დალევდა თანხა უკან დაუბრუნდებოდა და ჭამა-სმაც უფასოდ შერჩებოდა, ხოლო რეკორდსაც თუ დაამყარებდა, 2500 მარკას მიიღებდა. ლუდის კათხები ერთლიტრიანი იყო. მონაწილეებს სულმოუთქმელად უნდა გამოეცალათ ისინი, რეკორდის დამყარებისთვის კი ერთი საათი იყო განკუთვნილი. შეჯიბრებაში ექვსი კაცი ჩაება. მიხეილ მესხმა მთელი ორი დღე ამზადა დემური შეჯიბრებისათვის, აჭამა და აჭამა თუ რამე მლაშე საჭმელი მოიპოვებოდა. დაიწყო თუ არა შეჯიბრება, მარილიანი კერძებით მოწყურებულმა დემურმა ზედიზედ ოთხი კათხა ლუდი დაცალა. ამის შემხედვარე მოწინააღმდეგენი დაფრთხნენ და უსიტყვოდ მიატოვეს შეჯიბრება. მცირედი შესვენების შემდეგ მან კიდევ ოთხი კათხა ლუდი შესვა, თუმცა ოდნავ შეუძლოდ შეიქნა. იგრძნო რა რეკორდის დამყარების რეალური შესაძლებლობა, დემურ დანელიამ გერმანულ კერძებს კიდევ ორი კათხა ლუდი მიაყოლა და ძველი რეკორდიც მოხსნა. მეორე სუნთქვა გახსნილს რაღა გააჩერებდა და ზედიზედ კიდევ სამი კათხა ლუდი — მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე დალია. დემური მეთოთხმეტესაც ელოდებოდა, მაგრამ იგი აღარ შემოიტანეს. ბარის მეპატრონე ამ დროს დემურის მეგობრებსა და გულშემატკივრებს ემუდარებოდა როგორმე შეეჩერებინათ იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაკოტრება ემუქრებოდა, რადგანაც ასეთი რეკორდის მოხსნას აღარავინ იფიქრებდა. თანაც შეჯიბრების დაწყებიდან ჯერ მხოლოდ ნახევარი საათი იყო გასული. ამისათვის იგი საპრიზოს გარდა დამატებით თანხასაც კი იხდიდა.

ბარის მეპატრონის თხოვნამ გასჭრა. შეჯიბრება დამთავრდა. დამატებითი თანხა 200 მარკა იქვე ბარის მოცეკვავეებს აჩუქა. ათასი მარკა ძმებს ნიკურაძეებს დაუბრუნა, ხოლო დარჩენილი თანხიდან მეგობრებს სტერეომაგნიტოფონები უყიდა.

ასე გახდა ქართველი დემურ დანელია ლუდის სმაში გამარჯვებული. ახალი რეკორდსმენის სურათი უმალვე გააკრეს ძველის ნაცვლად.

მეორე დღეს დემურ დანელია საბჭოთა საელჩოში დაიბარეს და მოგებული თანხის ჩაბარება მოსთხოვეს, მაგრამ რაკი გაიგეს მაგნიტოფონების შეძენისა და გაჩუქების ამბავი, ფულის ჩამორთმევის მცდელობას თავი დაანებეს.

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, ტურისტები მოსკოვს ჩაფრინდნენ. დემურ დანელია პირდაპირ აეროპორტიდან სამთავრობო „ჩაიკით" სუკი-ს მაშინდელ შეფს იური ანდროპოვს მიჰგვარეს.

ანდროპოვი ღიმილით შეხვდა დემურ დანელიას და მოიკითხა რეკორდის დამყარების ამბავი. შემდეგ კი მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ჰკითხა, თუ რატომ ჩაიდინა მან ასეთი საქციელი, იცოდა თუ არა, რომ მომკვდარიყო რამდენი დაუჯდებოდა სახელმწიფოს მისი სამშობლოში გადმოსვენება? დემური არ დაიბნა და მშვიდად უპასუხა: „მე წყეულ კაპიტალისტებს ვაჩვენე, რომ საბჭოთა ხალხსაც შეუძლია მაგარი სმა, ოღონდ არ კადრულობენ". ამაზე ორივემ კარგა ხანს გულიანად იცინეს. შემდეგ იური ანდროპოვის ბრძანებით კაბინეტში ლუდის კათხებით, სოსისით და სხვა საჭმელებით გაწყობილი სუფრა გაიშალა. სუკი-ს შეფმა წარმოთქვა სადღეგრძელო და კათხა ლუდი დემურ დანელიას კათხას მიუჭახუნა. მოიხსნა ოქროს საათი და სამახსოვროდ გადასცა მას, რომელსაც ბატონი დემური დღემდე ატარებს. ხელქვეითებს კი უბრძანა დემური სასტუმრო „უკრაინაში" საპატიო პირთათვის განკუთვნილ №203 ოთახში დაებინავებინათ ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

25 წლის წინ დამყარებული ეს რეკორდი, ჯერაც ხელშეუხებელია, ხოლო რეკორდსმენი — 60 წლის მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, თბილისის ატამანის მოადგილე, „პლეხანოველი" დემურ დანელია იმედოვნებს, რომ სულ მალე საქართველოშიც ჩატარდება მსგავსი კონკურსი და იგი უეჭველად მიიღებს მონაწილეობას მასში.

დებიუტანტი

ვასილ ბერუაშვილი
სამბო

დაიბადა 1982 წელს, რუსთავში.
წონა 48 კგ.
სიმაღლე 170 სმ. სპორტში მეცადინეობს 1992 წლიდან.
მწვრთნელები – ვასილ ჩიხრაძე და შალვა დარძული.
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრია.
არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, გაუმარჯვნია უფროსებთან ასპარეზობებშიც.
გამოდის ძიუდოისტთა შეჯიბრებებში – სამჯერ იყო პრიზიორი თანატოლებში.
ჭაბუკებში საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის წევრია.

? შეკითხვა „ლელოს"

გთხოვთ მიპასუხოთ როდის და სად გაჩნდა ფეხბურთი პირველად?

ლადო ვადაჭკორია,
12 წლის, თბილისი.

პასუხი: ლადო, შენ ალბათ მხედველობაში გაქვს თანამედროვე ფეხბურთი, რომლის სამშობლოდ ითვლება ინგლისი. ეს უნიკალური თამაში დაიბადა 1863 წლის 26 ოქტომბერს ლონდონში, როცა შეიქმნა მსოფლიოში პირველი „საფეხბურთო ასოციაცია". ცხადია, ფეხბურთს მანამდეც თამაშობდნენ და მოედანზე დიდი შეხლა-შემოხლაც ხდებოდა. ხელმძღვანელი საფეხბურთო ორგანიზაციის შექმნით, თამაშის წესებიც დაიხვეწა და დავის მიზეზებიც მინიმუმამდე შემცირდა.

საქართველოს თასი

1/2 ფინალის განმეორებითი მატჩები

ტორპედო (ქუთაისი) — არსენალი (თბილისი) 3-0 (პირველი მატჩი 2-1)

ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, მაზანაშვილი, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე (ჩხაბერიძე, 46), თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (იმედაძე, 75), ვაჩიბერაძე (მეტრეველი, 77).

არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია (კოხრეიძე, 63), მ. მაისურაძე, ზირაქაშვილი (სულაძე, 65), გაგუა, ხოსროშვილი (ამირიძე, 46), ტარიელაშვილი.

გოლები: მეგრელაძე (3), მაზანაშვილი (26), ვაჩიბერაძე (61).

მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

სამგურალი (წყალტუბო) — ლოკომოტივი (თბილისი) 1-0 (პირველი მატჩი 0-0).

სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია (ფარანგიშვილი, 89), გიორგობიანი, სუხიშვილი (ქუთათელაძე, 85), გ. შენგელია (დარსაძე, 81).

ლოკომოტივი: ჯანელიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, წივწივაძე, ზ. არჩვაძე (დ. გოდერძიშვილი, 68), ვ. კილასონია, კაციაშვილი (დაუშვილი, 38), შ. ხუჯაძე, დ. შუკირი (ხორგუაშვილი, 76), გოგობერიშვილი.

გოლი: აფციაური (67).

გაფრთხილებულ: გოგობერიშვილი, წივწივაძე, ბალაშვილი, არჩვაძე.

მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

ქუთათურთა ფინალისტობა ეჭვს არ იწვევდა — „ტორპედომ", შეიძლება ითქვას, პირველ მატჩში მოათავა საქმე. გივი კილაძის სახელობის სტადიონზეც რიონისპირელები დომინირებდნენ და სამი უპასუხო ბურთითაც დაჯაბნეს მეტოქე. ინტრიგას ამ შეხვედრას მხოლოდ ის თუ უქმნიდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „არსენალი" სტუმრად ერთობ გაუძალიანდა „ტორპედოს" და ერთი ქულითაც (1-1) მობრუნდა შინ. მაგრამ არა, სათასო მატჩში თბილისელმა არმიელებმა ვერაფერი გააწყეს მეტოქესთან.

აი წყალტუბოში კი დრამატიზმი ნაღდად არ აკლდა ორთაბრძოლას, სენსაციის საფუძველი ჯერ კიდევ პირველი, თბილისური მატჩისას ჩაეყარა, თანაც „სამგურალს" შინ ნამდვილი ფანები ქომაგობენ, რის არარსებობასაც აშკარად განიცდის „ლოკომოტივი". ისიც უნდა ითქვას, რომ წყალტუბოელთა გუნდის ბირთვს გამაცდილი, ჩვენს ეროვნულ თუ სხვა ჩემპიონატებშიც გამობრძმედილი ფეხბურთელები შეადგენენ. ასე რომ, მთლად დიდ სენსაციად არ უნდა მივიჩნიოთ „სამგურალის" ფინალში გასვლა — ამ გუნდმა ტიპიურად სათასო გუნდის თვისებები გამოავლინა და შესაძლოა 26 მაისსაც კიდევ ერთხელ გამოაჩინოს ბასრი ბრჭყალები.

ჩემპიონთა ლიგა

ბაიერნი (გერმანია) — დინამო (უკრაინა) 1-0 (ბასლერი) (3-3).

იუვენტუსი (იტალია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 2-3 (ინძაგი-2, კინი, იორკი, კოული) (1-1).

მოსახდენი მოხდა — ჩემპიონთა ლიგის ფინალში დღესდღეობით ევროპის ორი მართლაც უძლიერესი კლუბი გავიდა — „ბაიერნი" და „მანჩესტერ იუნაიტედი"! დიახ, სწორედ ეს ორი კლუბი მიიჩნეოდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების სტარტზევე ამ უპრესტიჟულესი ტურნირის ფავორიტებად და ახლა კიდეც ფეხბურთის გულშემატკივართა თუ სპეციალისტთა პროგნოზი. ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორი ლამაზი საფეხბურთო საღამო გვაჩუქა ორივე გუნდმა 21 აპრილს. დავიწყოთ ინგლისელებით, რომლებმაც გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ პატარა სასწაული მოახდინეს ტურინში. დიახ, სასწაული, გნებავთ, სენსაცია უნდა ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ გუნდი 0-2-ს აგებდა (თანაც, პირველ თერთმეტ წუთში) და შემდეგ სამი გოლი გაიტანას! სამი გოლი სტუმრად, თან იტალიაში, თან — ვის, „იუვენტუსს"? ბევრს, ძალიან ბევრს ეცადნენ ზინედინ ზიდანი და ფილიპო ინძაგი თანაგუნდელებთან ერთად, მაგრამ მანჩესტერელთა მართლაც შესანიშნავი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის გონივრულ ტაქტიკასთან ვერაფერს გახდნენ. თანაც, პირველი მატჩისაგან განსხვავებით, იტალიელებმა ვერაფერი მოუხერხეს დევიდ ბეკჰემს, რომელიც, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ მატჩში. არა, მართლაც დიდი სანახობა გველის ჯერას 26 მაისს, როცა ბარსელონას ცნობილ სტადიონ „ნოუ კამპზე" ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერი" „ბაიერნს" დაუპირისპირდება. იმ „ბაიერნს", რომელმაც სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ვალერი ლობანოვსკის აღზრდილებთან. კი, ძალიან ნიჭიერი ფორვარდია ანდრეი შევჩენკო, არანაკლები ტალანტია სერგეი რებროვიც, მაგრამ გერმანელთა გუნდში (მტკიცე სათამაშო დისციპლინას თავი რომ გავანებოთ) სამი ისეთი „ვარსკვლავი" თამაშობს, რომელთაც სათითაოდ ძალუძთ თამაშის ბედის მარტოდ განსაზღვრა და ერთად რაღას იზამენ. ალბათ ხვდებით, შტეფან ეფენბერგზე, იენს იერემისსა და მარიო ბასლერზე რომ არის საუბარი. ამ უკანასკნელზე ბოლო დროს რას არ ამბობდნენ — ფორმაში არ არისო, ჭირვეული ხასიათი აქვსო და ასე შემდეგ, მაგრამ „სუპერ-მარიომ" იმ საღამოს ფანტასტიური თამაში და არანაკლებ ფანტასტიური გოლი უძღვნა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე თავმოყრილ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს. თანაც, ბასლერი იმ ფლანგზე ნავარდობდა, მოწინააღმდეგე გუნდში კახა კალაძეს რომ უნდა გაეკონტროლებინა...

ახლა უეფას თასის განმეორებით ნახევარფინალებზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ერთი ფინალისტი, ფაქტობრივად, უკვე ცნობილიც იყო — ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ იტალიის „პარმა" შინ დამარცხდებოდა ისედაც ღრმა კრიზისში მყოფ მადრიდის „ატლეტიკოსთან". ასეც მოხდა კიდეც — ენრიკო კიეზასა და აბელ ბალბოს გოლებს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს და თავიანთი ექსცენტრული პრეზიდენტის ხესუს ხილის ოცნებაც („ატლეტიკოს" უეფას თასი მოეპოვებინა) დასამარეს. სამწუხაროდ, მეორე იტალიური კლუბი „ბოლონია" შინ ვერაფერს გახდა საფრანგეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „მარსელთან". არადა, მასპინძლები პარამატის გოლით მთელი მატჩი წინ იყვნენ, პლუს რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც გაუცუდდა მათ უპირველეს სნაიპერ ჯუზეპე სინიორის, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე, მათ კარში დანიშნულმა თერთმეტმეტრიანმა ჯულაფერს ცივი წყალი გადაასხა. თანაც, სტუმართა კაპიტან ლორან ბლანს, როგორც სჩვევია, მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და მისმა გოლმა „მარსელი" ფინალში გაიყვანა, იმ ფინალში, რომელიც მოსკოვში გაიმართება 12 მაისს.

მიმომხილველი

UEFA ევროპის საკლუბო ჯურნირები

ნახევარფინალები (განმეორებითი შეხვედრები)

მარიო კვლავ „სუპერია"!

ბოლონია (იტალია) — მარსელი (საფრანგეთი) 1-1 (გოლები: პარამატი, ბლანი). პარმა (იტალია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 2-1 (კიეზა, ბოლბაო; რობერტო) (3-1).

მარიო ბასლერი

უეფას თასი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

თეთრაძე დაბრუნდა...

რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი და იტალიის „რომას" ლეგიონერი ომარ თეთრაძე ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს. მართალია, ჯერ მინიფეხბურთში მოსინჯა ძალა. მაგრამ მკურნალი ექიმი იმედოვნებს, რომ ომარი სულ მალე მინდორზეც ითამაშებს.

მამის დასაფლავებასაც კი ვერ დაესწრო

მადრიდის „ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელად სულ ახლახან დანიშნულმა რაღომირ ანტიჩმა თავისი მამის დასაფლავებაზე დასწრებაც კი ვერ მოახერხა. საქმე ის არის, რომ ახლანდელი საომარი ვითარების გამო ბელგრადთან საჰაერო კავშირი არ არსებობს, სხვანაირად კი, შემოვლითი გზებით, ანტიჩი სერბიაში ჩასვლას ვერ ასწრებდა.

ერთბაშად 3 კლუბს სურს

ერთბაშად სამ იტალიურ კლუბს —„მილანს" „პარმასა" და „ლაციოს" სურს შეიძინოს მადრიდის „ატლეტიკოს" ნიჭიერი თავდამსხმელი ხოსე მარი. საინტერესოა, რომ „ატლეტიკოს" ჭირვეულ პრეზიდენტ ხესუს ხილს, თუ, რა თქმა უნდა, კარგ ფულს გადაუხდიან, ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თვით კი ტურინის „იუვენტუსის" შედეგიანი ფორვარდის ფილიპო ინძაგის დაუფლება სურს.

„იუვენტუსი" უარყოფს

ტურინის „იუვენტუსის" ოფიციალურმა პირებმა კატეგორიულად უარყვეს პრესაში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს მსოფლიოს 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი შეიძლება „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს.

სენსაცია - ზამერი დაბრუნდა!

ეს მართლაც დიდი მოულოდნელობაა. 18 თვის (!) იძულებითი პაუზის, მრავალრიცხოვანი ოპერაციების შემდეგ მათიას ზამერი დაუბრუნდა თავის კლუბ დორტმუნდის „ბორუსიას".

ახლა თითქოს ყველაფერი კარგად არის. მარცხენა მუხლი განთქმულ ოსტატს აღარ აწუხებს და იგი აქტიურად ვარჯიშობს.

მსოფლიოში საუკეთესო გოლეადორი

ბოლივიის კლუბ „ბლუმანგის" თავდამსხმელი ვიქტორ უგო ანტელო მსოფლიოში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე უკეთესი გოლეადორი გახდა. მან ამ დღეებში „ინდეპენდენტესთან" მატჩში თავისი 301-ე გოლი გაიტანა და, ამრიგად, ერთი გოლით გაუსწრო ავსტრიელ ტონი პოლსტერს.

საფეხბურთო მარკაზე

ავსტრიაში მალე ხმარებაში შევა საფოსტო მარკა, რომელიც ავსტრიულ ფეხბურთს მიეძღვნება. მასზე გამოსახული იქნება ამჟამად ქვეყანაში ყველაზე უფრო პოპულარული ფეხბურთელი, გრაცის „შტურმის" კაპიტანი, ცნობილი თავდამსხმელი ივიცა ვასტიჩი.

უცხოელთა რიცხვი შემცირდება?

ესპანეთის კონგრესი (პარლამენტი) განიხილავს სოციალისტური ფრაქციის პროექტს, რომელიც მომავალი სეზონიდან ყველა დივიზიონში უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობის შემცირებას მოითხოვს.

კვლავ სპამს

„ასტონ ვილას" ნახევარმცველი პოლ მერსონი, რომელსაც ზოგჯერ ეროვნულ ნაკრებშიც იწვევდნენ ხოლმე, ადრე უკვე მკურნალობდა, ცდილობდა თავი დაენებებინა სმისთვის. თითქოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მაგრამ...

ამასწინანდელ ინტერვიუში მერსონმა აღიარა, რომ ღამის კლუბებში ისევ ეტანება ალკოჰოლს. ეს მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს.

სამშობლოში უჩივლეს!

გერმანიის ნაკრების მცველი კრისტიან ვიორნსი, რომელიც ახლა „პარი სენ-ჟერმენში" თამაშობს, მომავალი სეზონიდან სამშობლოში ბრუნდება. იგი დორტმუნდის „ბორუსიაში" გააგრძელებს კარიერას.

სტადიონის გახსნის მატჩზე

სიდნეის „ოლიმპიური სტადიონის" გახსნის მატჩზე მიწვეული არიან ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" და არგენტინული „ბოკა ხუნიორსი" (ბუენოს — აირესი).

სწორედ ამ სტადიონზე ჩატარდება 2000 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის შეხვედრები.

აზიას ირჩევს...

აზიის საფეხბურთო კონფედერაცია ირჩევს ყოველწლიური პრიზების მფლობელებს. კონტინენტის 1998 წლის საუკეთესო მოთამაშესთან ერთად გამოვლინდებიან ლაურეატებიც შემდეგ ნომინაციებში: ახალგაზრდა ფეხბურთელი, მწვრთნელი, კლუბი, ვაჟთა ნაკრები, ქალთა ნაკრები, მსაჯი, ლაინსმანი, აგრეთვე „Fair Play"-ის აზიის საუკეთესო გოლი და „გარსკვლავთა" ნაკრები.

ექსპერტთა სარეკომენდაციო საუკეთესო მოთამაშეთა სიაში არიან: იაპონელი ხიდეტოში ნაკატა („პერუჯა", იტალია), ირანელი ალი დაეი („ბავარია", გერმანია), ჩინელი ფან ჩუნი („კრისტალ პალასი", ინგლისი) და კუვეიტელი იასამ ალ-ჰუვალდი (ალ-შაბაბი).

ეროვნული ჩემპიონატები

ინგლისი

(გამოტოვებული მატჩები)

ჩარლტონი — ტოტენჰემი 1-4, ლივერპული — ლესტერი 0-1, შეფილდ უენსდეი — ნიუკასლი 1-1.

ლიდერობენ: მანჩესტერ იუნაიტედი (67), არსენალი (66), ჩელსი (64).

ჰოლანდია

(გამოტოვებული მატჩები)

ვიტესი — ეინდჰოვენი 3-3, აიაქსი — ნაიმეგენი 3-0.

ლიდერობენ: ფეიენოორდი (70), ვიტესი (55), ეინდჰოვენი (54).

რუსეთის ჩემპიონატი

(გადმოტანილი შეხვედრა)

სპარტაკი — ტორპედო 0-1

ლიდერობენ: სპარტაკი (12), დინამო (9), ტორპედო (9).

რუსეთის თასი

(ნახევარფინალები)

როტორი — დინამო 2-2 (პენალტებით 8-9), ზენიტი — ცსკა 1-0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

დიდი გაცვლა - გამოცვლაა

„შალკე 04“-ის გადაწყვეტილებით ნორვეგიის ნაკრების მეკარე ფროდე გროდასი (ადრე ლონდონის „ჩელსიში“ თამაშობდა) სეზონის ბოლომდე ათხოვეს ესპანეთის „რასინგს“ (ქ. სანტანდერი).

ლევერკუზენის „ბაიერნმა“ (ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა), 2 წლით ბრაზილიურ „გუარანისაგან ითხოვა 21 წლის მეტად ნიჭიერი თავდამსხმელი რობსონ პონტე.

ამსტერდამის „აიაქსის“ ხელმძღვანელობას მოლაპარაკება აქვს ბრაზილიურ „კორინთიანსთან“ ორი წამყვანი ფეხბურთელის: მცველ კარლოს გამარასა და ნახევარმცველ ვამპეტას ყიდვის შესახებ. ორივე მოთამაშე ბრაზილიის ნაკრების წევრია.

ოუენი სამ თვეს იმკურნალებს

„ლივერპულის“ ვუნდერკინდი მაიკლ ოუენი, რომელიც გამოჯანმრთელებული არ იყო, კლუბის ხელმძღვანელობამ მაინც გამოიყვანა მატჩში „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ. 25-ე წუთზე ისე, რომ არავინ შეხებია, ოუენი წაიქცა და ვეღარ ადგა — მყესები გაუწყდა. ექიმების პირველი დასკვნა შედარებით ოპტიმისტური იყო: ჭაბუკი მალე გამოჯანმრთელდებოდა, ესაა, ვერ მიიღებდა მონაწილეობას 28 აპრილის ამხანაგურ მატჩში ბუდაპეშტში უნგრეთისა და ინგლისის ნაკრებებს შორის. შემდგომმა შემოწმებებმა კი გამოავლინა, რომ საქმე გაცილებით უფრო სერიოზულადაა — ოუენმა სამი თვე მაინც უნდა იმკურნალოს.

სამხრეთამერიკული საფეხბურთო ცხოვრება

● სტადიონ „ლა ბომბონერას“ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო არგენტინულმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა“ დაახლოებით 1 მილიონი დოლარი დაკარგა.

● არგენტინის პრეზიდენტ კარლოს მენემის განცხადებით, ძალიან სურს თავდამსხმელი კლაუდიო კანიჯა ბუენოს-აირესის კლუბ „რივერ პლეიტის“ შემადგენლობაში იხილოს.

● „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელი ხოსე ბასუალდო საკუთარი მანქანის მართვის დროს შეიარაღებული პირების თავდასხმის ობიექტად იქცა. ბასუალდო მხოლოდ პოლიციის მანქანის გამოჩენამ იხსნა, რის შედეგად თავდამსხმელები დააპატიმრეს.

● კლუბი „პლატენსე“ არგენტინის პირველობაზე ბოლო ადგილზეა. მან მიიღო გულშემატკივრების წერილი — თუ მორიგ მატჩსაც წააგებს, მაშინ ფეხბურთელების მიმართ „შესაბამისი ზომები“ იქნება მიღებული. „როსარიო სენტრალის“ კლუბის საწვრთნელი ბაზისაკენ, ფეხბურთელებთან გუნდის საქმეების გარჩევის მიზნით გულშემატკივრების დიდი ჯგუფი გაემართა. პოლიციამ დააკავა ორი აღგზნებული ფანატი, ხოლო დანარჩენების გაფანტვას ავტომატების გასროლაც კი დასჭირდა.

● „ველეს სარსფილდის“ ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ საჭმელი პროდუქტებით მოწამვლის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა „კოპა ლიბერტადორესის“ მერვედფინალურ მატჩში.

● სან-პაულუს კლუბ „კორინთიანსის“ წამყვანმა თავდამსხმელმა მარსელინო კარიოკამ ერთ-ერთი ბრაზილიური პოპ-ჯგუფის შემადგენლობაში თავის პარტნიორ ამარალთან ერთად დაიწყო საესტრადო მომღერლის კარიერა.

● კლუბ „კოსმოსის“ (ნიუ-იორკი) დირექტორატმა წინადადებით მიმართა პელეს გახდეს მთავარი მწვრთნელი. როგორც ცნობილია, პელე 70-იან წლებში ამ კლუბში თამაშობდა.

● რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსეს“ სურს მიიწვიოს ცნობილი მეკარე ტაფარელი, რომელიც ახლა სტამბოლის „გალათასარაიში“ გამოდის. ტაფარელი ბრაზილიის ნაკრების კარს 1990, 1994 და 1998 წლების ჩემპიონატებში იცავდა.

● მონტევიდეოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ ურუგვაულ კლუბ „ნასიონალს“ წელს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება, ამასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებებია დაგეგმილი. კერძოდ, გაიმართება ამხანაგური მატჩი ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან“. „ნასიონალის“ შემადგენლობაში გამოვლენ ის გამოჩენილი ოსტატები, რომლებიც იქ ბოლო ათწლეულში თამაშობდნენ: დანიელ ფონსეკა, ხულიო სესარ დელი ვალდესი და ალვარო რეკობა.

ხუთადხუთი ტური

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

ბატისტუტა: მცველებო, მოემზადეთ!

რაც უფრო უახლოვდება ფინიშს მსოფლიოში ყველაზე უფრო პრესტიჟული ეროვნული პირველობა — „სერია A“, ბუნდოვანი ხდება სატურნირო მდგომარეობა. ამას, ვთქვათ, XXV ტურის შემდეგ ვერავინ იტყოდა: რომის „ლაციოს“ მდგომარეობა იმდენად მყარი იყო, რომ მას თითქმის უკვე ჩემპიონად თვლიდნენ.

ძალიან ცუდი სიმპტომი იყო ფრე (0-0) უკანასკნელ ადგილზე მყოფ „ემპოლისთან“, ისე კი, არც ისე სუსტ გუნდთან — ეს ხომ იტალიის პირველობაა! „ლაციომ“ ძალზე უფერულად ითამაშა მოსკოვში „ლოკომოტივთან“ (რაც, ვთქვათ, ძალების დაზოგვად ჩათვალეს!), შემდეგ ორი მატჩი წააგო რომში „რომასთან“ — 1-3 და ტურინის „იუვენტუსთან“ 1-3. ერთი სიტყვით, ლიდერის ქულათა დიდი მარაგიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. დღეისათვის მას 56 ქულა აქვს და ქულითღა უსწრებს „მილანს“.

რა მოხდა? რატომ დაკარგა თითქმის მთლიანად ვარსკვლავებისაგან შემდგარმა „ლაციომ“ ამხელა უპირატესობა? მიმომხილველთა ერთი ნაწილი ჯაჯახსენებს, რომ დაახლოებით ამგვარი რამ მოხდა შარშანდელ ჩემპიონატშიც. სვენ-გორან ერიქსონმა აშკარად ვერ გაითვალისწინა მოთამაშეთა დიდი ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობები — ისინი აშკარად გადაღლილად გამოიყურებიან. ამას დავუმატოთ ვიერის ხანგრძლივი ტრავმა, ისიც, რომ გამთამაშებელ მანჩინის უკვე დაეტყო ასაკი. არის, ალბათ, სხვა მიზეზებიც. გარკვეული ძალა თასების მფლობელთა თასზე მონაწილეობამაც შეიწირა.

ერნან კრესპო

ლიდერის ამ უფერული თამაშის ფონზე აშკარად შეიმჩნევა „მილანის“ დიდი აღმავლობა. ასე, დაახლოებით, თებერვალში, „მილანის“ მეპატრონემ, სილვიო-ბერლუსკონიმ, რომელსაც ჩემპიონობის მოპოვების არავითარი იმედი არ ჰქონდა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირველი ადგილისათვის ბრძოლას იგი ამ სეზონში... არ გეგმავდა! აი, როცა ჩვენთან შევჩენკო გადმოვა, თავდასხმა უფრო შედეგიანი გახდება, მომავალ სეზონში უკვე მაქსიმალურ მიზნებს დავისახავთო, მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის რაიმე მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ „მილანი“ სულ აშკარად უკეთ და უკეთ თამაშობდა. მან მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო „სან-სიროზე“ პირველი ადგილის პოტენციურ პრეტენდენტ „პარმას“ — 2-1. ბოლო XXIX ტურში კი, როცა მეექვსე ადგილზე მყოფ „უდინეზეს“ ხვდებოდა ქ. უდინეში, სადაც მასპინძლები ყოველთვის წარმატებით თამაშობენ ხოლმე, „მილანმა“ თამაშის მეტად მაღალი კლასი აჩვენა. 5-1! ორ-ორი გოლი გაიტანეს ხორვატმა ნახევარმცველმა ბობანმა (ერთი პენალტით) და თვით თამაშის შეუდარებელმა ოსტატმა ბირჰოფმა, ერთი — ვეტერანმა ვეამ, რომელიც მეორე წრეში გოლის გატანის „ეშხში“ შევიდა. როგორც ყოველთვის, დიდებულად თამაშობს კაპიტანი მალდინი. მრავალნაცად მეკარე როსის დისკვალიფიკაციის გამო თამაში დაიწყო ახალგაზრდა აბიატიმ. შემდეგ, როცა დისკვალიფიკაციის ვადა გავიდა, ძაკერონიმ აღარ ჩათვალა საჭიროდ ვეტერანის დაბრუნება — იგი სავსებით კმაყოფილია აბიატის თამაშით.

სულ ორიოდე ტურის წინ ჩემპიონობის მეტნაკლებ პრეტენდენტად ითვლებოდა კიდევ ორი გუნდი: „სკუადრა ვიოლა“ ანუ „ფიორენტინა“ და „პარმა“. დღეისათვის უკვე თამამად შეიძლება ითქვას — არც ერთსა და არც მეორეს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობები უკვე აღარა აქვს. „ფიორენტინას“ საქმეები სულ უკან-უკან წავიდა. ჯერ იყო და მან საკუთარ მინდორზე ვერ მოუგო შეუპოვარ, მაგრამ მაინც სახიფათო ზონაში მყოფ „ბარის“ — 2-2. „ორჯერ ვიყავით წინ და ორჯერვე მივეცით მეტოქეს საშუალება დაგვწეოდა. ვფიქრობ, ეს გარემოება ძალიან დაგვეტყობა“ — განაცხადა „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ. უფრო მეტად „დაეტყო“ გუნდს მოულოდნელი მძიმე მარცხი — 0-3 ბოლონიაში. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: მწვრთნელმა კარლო მაცონემ, „ოლიმპიკთან“ (მარსელი) უეფას თასზე ნახევარფინალური მატჩი რომ ელოდა, იმ დღეს ორი ძირითადი თავდამსხმელი: ბრწყინვალედ მოთამაშე ვეტერანი სინიორი და შვედი კ. ანდერსონი, სათადარიგოებით — სიმუტენკოვითა და კოლივანოვით შეცვალა. თითქოს ჯიბრზე — ერთმაც გაიტანა გოლი და მეორემაც! ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, „ფიორენტინას“ ერთი რამ დარჩა — როგორმე ბოლომდე მიიყვანოს ჩემპიონატი, შეინარჩუნოს ადგილი პირველ ოთხეულში — პირველ და მეორე ადგილებზე ლაპარაკი უკვე აღარ არის.

ახლა „ფიორენტინას“ 51 ქულა აქვს, „ლაციოზე“ ხუთით ნაკლები. „პარმას“, რომელმაც თავის მინდორზე გენუის „სამპდორიას“ ვერ მოუგო: 1-1, სხვა პრობლემა აქვს. ახლა მის აქტივში 49 ქულაა და თუ მომდევნო ტურები კარგად ვერ წარმართა, შეიძლება მეოთხე ადგილიც ვერ შეინარჩუნოს. დღეისათვის მას 45-45 ქულით „რომა“, „იუვენტუსი“ და „უდინეზე“ მისდევენ. არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა მარჩელო ლიპიმ დატოვა „ბებერი ქალბატონი“, ბევრი მიმომხილველი თვლიდა, რომ „იუვე გარდაიცვალა“. ეს, უპირველეს ყოფლისა, არ დაუშვა ახალმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, რომელმაც შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ახლა კლუბი პირველი ოთხეულისათვისაც იბრძვის. ვთქვათ ისიც, რომ „იუვეს“ დელ პიეროსა და ზოგჯერ ზიდანის არყოფნაში ძალიან გამოადგნენ ახალი მოთამაშეები, განსაკუთრებით კი „მონაკოდან“ მიწვეული საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ანრი.

ბოლონია — ფიორენტინა.
კოშტუს ვეღარ დაეწევა ინგესონი

მაშ ასე, ჩავთვალოთ, რომ ახლა ჩემპიონობისათვის მხოლოდ „ლაციო“ და „მილანი“ იბრძვიან. როგორია მათი პერსპექტივები. „ლაციოს“ სხვადასხვა მიზეზის გამო უკანასკნელ ხანებში აკლდა ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი, მათ შორის კაპიტანი ნესტა. ახლა ყველა მწყობრში დგება. რა თქმა უნდა, ლიდერს კვლავაც აქვს ჩემპიონობის იმედები. შესანიშნავად გრძნობს თავს „მილანის“ მწვრნელი ძაკერონი: „სტრატეგიული ამოცანის შეცვლა არასოდეს არის გვიან. ადრე ვფიქრობდი, რომ ეს სეზონი ჩვენთვის გარდამავალი იყო და ჩემპიონობისათვის ბრძოლა არ შეგვეძლო. ახლა უნდა განვაცხადო, რომ სრული უფლებით შეგვიძლია ჩავერთოთ სკუდეტოსათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით იმ თამაშის შემდეგ, რომელიც „მილანმა“ „უდინეზესთან“ უჩვენა. მაშინაც კი, როცა ანგარიში 5-1 გახდა, ჩვენ ვაგრძელებდით შეტევებს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ გუნდში ყველაფერი წესრიგშია“.

ძნელი სათქმელია, რამდენად სწორი გამოდგება ზოგი ექსპერტის აზრი იმის შესახებ, რომ წლეულს „მილანი“ 90-იან წლებში უკვე მეხუთედ მოიპოვებს ჩემპიონობას, „ლაციო“ კი, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე სულ ერთხელ იყო პირველი, მეორედ ამ სეზონში ამას ვერ გააკეთებს. ვნახოთ, დიდხანს აღარ მოგვიხდება ცდა — ჩემპიონატი ხომ სულ ერთ თვეში, 23 მაისს დამთავრდება.

ახლა კი გადავხედოთ ჩემპიონობის პრეტენდენტების დარჩენილ მატჩებს — ბევრი რამ საინტერესო მოგველის. ფიქრობენ, რომ „ლაციო“, თუმცა „მილანზე“ ერთი ქულით მეტი აქვს, გაცილებით უფრო რთული პრობლემების წინაშე დადგება.

კვირას, 25 აპრილს ლიდერი გენუაში ითამაშებს „სამპდორიასთან“, რომელიც ახლა მე-16 ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. „სამპდორიაში“ კვლავ მწყობრში ჩადგა სნაიპერი მონტელა. ნურც არგენტინელ „ჩოჩორს“ — ორტეგას დავივიწყებთ. 2 მაისს „ლაციოს“ კვლავ გასვლითი მატჩი აქვს „უდინეზესთან“, რომელიც ახლა მეშვიდეა და ჩემპიონთა ლიგისათვის ბრძოლის ერთგვარ შესაძლებლობებსაც ინარჩუნებს. 9 მაისს „ლაციო“ რომში ეთამაშება „ბოლონიას“, 16 მაისს უმძიმესი გასვლითი მატჩი აქვს ფლორენციაში, ხოლო 23 მაისს ჩემპიონატს რომში დაამთავრებს „პარმასთან“ შეხვედრით. რომელია აქ თუნდაც ერთი შედარებით იოლი მატჩი?

ახლა „მილანის“ დარჩენილი შეხვედრების კალენდარს გადავხედოთ. 25 აპრილს იგი სტუმრად ეთამაშება მე-15 ადგილზე მყოფ „ვიჩენცას“, 2 მაისს მიიღებს „სამპდორიას“, 9 მაისს უმძიმესი მატჩი ექნება ტურინში „იუვენტუსთან“, 16 მაისს შინ შეხვდება ბოლო ადგილზე მყოფ და კარგა ხანია განწირულ „ემპოლის“, 23 მაისს სტუმრად ითამაშებს „პერუჯასთან“, რომელსაც მაინცდამაინც არაფერი ემუქრება.

ერთი სიტყვით „მილანის“ მდგომარეობა, საყოველთაო აზრით, რამდენადმე უფრო იოლია. რაც შეეხება „სერია A“-ში ადგილის შენარჩუნებას, ამ მხრივ, როგორც ვთქვით, კარგა ხანია უიმედო მდგომარეობაშია „ემპოლი“ (19 ქულა), რომელთან შეხვედრითაც დაიწყო „ლაციოს“ ახლანდელი გასაჭირი. „სალერნიტანამ“ 28 ქულა მოაგროვა და ასევე მეტად მძიმე მდგომარეობა აქვს, ისევე, როგორც 30-30-ქულიან „სამპდორიასა“ და „ვიჩენცას“. მთლად არხეინად, ვთქვათ, ვერც „ბარი“ და „კალიარი“ (33-33 ქულა), გნებავთ „პიაჩენცაც“ (34) იქნებიან.

ახლა კი სნაიპერების სიას გადავხედოთ: ბატისტუტამ („ფიორენტინა“) 19 გოლი გაიტანა, კრესპომ („პარმა“) და დელვეკიომ („რომა“) — 16-16, მუციმ („კალიარი“) და ბირჰოფმა („მილანი“) — 15-15, სინიორიმ („ბოლონია“), ამოროზომ („უდინეზე“) და ჯუზეპე ინძაგის უმცროსმა ძმამ — სიმონემ („პიაჩენცა“) — 14-14, სალასმა („ლაციო“) — 13, ჯუზეპე ინძაგიმ („იუვენტუსი“) — 11 გოლი.

რჩება ერთი თვე, მაგრამ იგი, ეჭვგარეშეა, მეტად საინტერესო მოვლენებით იქნება სავსე.

ბიძი გამრეკელი

ბიშოვეცი — დონეცკის «შახტიორის» მწვრთნელი

უკრაინის ჩემპიონატის მე-20 ტურის წინ გულშემატკივრებმა შეიტყვეს, რომ დონეცკის „შახტიორს“ სათავეში ჩაუდგა რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი. ვინ იცის, რამდენი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა იგი.

ბიშოვეცს პირველი გამოცდა პოლტავაში „ვორსკლასთან“ ელოდა, რომელსაც მრავალნაცადი ანატოლი კონკოვი ხელმძღვანელობს. „შახტიორმა“ მოიგო ეს შეხვედრა 2-1 და ახლა 19 თამაშიდან 43 ქულით ინარჩუნებს პირველ ადგილს. შეიძლება მას გადაასწროს კიევის „დინამომ“.

აღნიშნავენ ჩემპიონატის დებიუტანტ ხარკოვის „მეტალისტის“ წარმატებებს, რომელსაც ქართველი გულშემატკივრებისათვის კარგად ნაცნობი მიხაილ ფომენკო ხელმძღვანელობს. „მეტალისტს“ უკვე 9 ტურია არ წაუგია, 16 მონაწილეს შორის ახლა მეექვსე ადგილზეა, და, ეტყობა, ჩაერთვება საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში. ტერნოპოლის „ნივა“, სადაც გოლების უმრავლესობა ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეებს გააქვთ, ახლა მე-12 ადგილზეა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა განსაკუთრებით თავისი მცველების სისუსტეს უჩივის. ამიტომ გადაიდგა კიდეც ნაბიჯები ამ რგოლის გასაძლიერებლად. ვიგოს „სელტას“ მარჯვენა მცველმა მიჩელ სელგადომ უკვე გამოაცხადა, რომ როგორიც არ უნდა იყოს ამ ჩემპიონატის შედეგები, გუნდში აღარ დარჩება (იგულისხმება — „რეალში“ გადადის). გარდა ამისა, „რეალს“ სურს იყიდოს რომის „ლაციოს“ მცველი ჯუზეპე პანკარო.

● მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა, წარსულში კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა ული ჰოინესმა განაცხადა, რომ ამჟამად სუსტად მოთამაშე გერმანიის ნაკრებს, კიდევაც რომ მოიპოვოს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება, იქ შავ დღეს დააყრიან.

ამიტომ, ჰოინესის აზრით, გერმანული ფეხბურთის შემდგომი აღმავლობის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია გერმანიის ნაკრებმა გამოტოვოს ევროპის პირველობის ფინალური ნაწილი.

● როგორც ბარსელონაში გამოცხადდა, უკვე დადგენილია ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ბილეთების საბოლოო ფასი. „ნოუ კამპზე“ ყველაზე იაფი ბილეთი დაახლოებით 30 დოლარი ეღირება, ყველაზე ძვირი კი სამჯერ მეტი.

● მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი დავორ შუკერი შესაძლოა თბილისის „პანათინაიკოსში“ გადავიდეს. ამასობაში კი „რეალი“ აპირებს მოინზენგლადბახის „ბორუსიის“ შვედი ლეგიონერის, ნახევარმცველ პატრიკ ანდერსონის მიწვევას. „სამეფო კლუბის“ გეგმებშია აგრეთვე მილანის „ინტერისა“ და არგენტინის ნაკრების მცველის ხავიერ ზანეტის (მისი დაუფლება „ბარსელონასაც“ სურს), თავდამსხმელების მარიო ჟარდელის („პორტუ“), დარკო კოვაჩევიჩისა („რეალ-სოსედადის“) და სავო მილოშევიჩის („სარაგოსა“) ყიდვაც. „ოვიედოს“ ურუგვაელი ნახევარმცველი ხუან გონსალესი წლის ბოლომდე, იჯარით მადრიდის „ატლეტიკოში“ გამოვა.

● ფოტოკორესპონდენტებს, რომლებიც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მუშაობდნენ ნიგერიაში, მოულოდნელი წინააღმდეგობა შეხვდათ: ადგილობრივი მოსახლეობა მათ ხელს უშლიდა გადაეღოთ სურათები. საქმე ის არის, რომ ადგილობრივი რელიგიური შეხედულებების თანახმად ნიგერიელებს სწამთ, რომ ფოტოსურათებში ადამიანის სული რჩება.

● ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა, რომლის ხელმძღვანელობითაც მადრიდის „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა, მეუღლის ავადმყოფობის გამო გერმანიის ნაკრებში მუშაობაზე უარი თქვა. ახლა ჰაინკესი 1999-2000 წლის სეზონის დასაწყისიდან ლისაბონის „ბენფიკას“ ჩაუდგება სათავეში.

● მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა აპირებს უახლოეს ხანებში მოლაპარაკება დაიწყოს მადრიდის „რეალთან“ სამეფო კლუბის ორი მოთამაშის, თავდამსხმელ პრედრაგ მიატოვიჩისა და მცველ კრისტიან ჯარამბეს შესახებ. ორივე ფეხბურთელს „რეალში“ საქმეები აშკარად წაუხდა და უკვე გადაწყვეტილია მათი გუნდიდან წასვლა.

● გერმანიის მეოთხე დივიზიონის კლუბ „ბონერში“ კუბის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი ჩაირიცხა. თუ რას მოიტანს ეს გადაწყვეტილება, ჯერჯერობით ნათელი არ არის, ისე კი, კლუბის ხელმძღვანელობას მეტად ამბიციური გეგმები აქვს — იგი აპირებს სამი სეზონის განმავლობაში ბუნდესლიგაში გადასვლას.

● ინგლისის მთავრობამ ვეტო დაადო ტელეკომპანია „BSKYB“-ს მიერ კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვას.
ტელეკომპანია თანახმა იყო გადაეხადა 999,2 მილიონი დოლარი.

● „კოპა ამერიკას“ მატჩები გაიმართება ივნის-ივლისში. ამასთან დაკავშირებით შეჯიბრების ორგკომიტეტმა სპეციალური მიწვევა გაუგზავნა წარსულის გამოჩენილ ფეხბურთელებს: პელეს, ალფრედო დი სტეფანოს, ფრანც ბეკენბაუერს, ბობი ჩარლტონსა და მიშელ პლატინის.

● 28 აპრილს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება კლუბ „ბარსელონას“. ამ თარიღთან დაკავშირებით დაინიშნა მეტად საინტერესო ამხანაგური შეხვედრა „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრებს შორის.
ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია რონალდო და რომარიო. რონალდო ნამდვილად ითამაშებს, რომარიოს საკითხი კი გაურკვეველია, რადგან „ფლამენგოს“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ „გრემიოსთან“ შეხვედრა თასზე უფრო მნიშვნელოვანია.

● ბელემ, რომელიც კარგა ხნის განშორების შემდეგ „სანტოსს“ დაუბრუნდა, წამოაყენა კლუბის ახალი, თანამედროვე სტადიონის მშენებლობის პროექტი. იგი 100 მილიონი დოლარი დაჯდება. ახალი სტადიონი 50 ათასი მაყურებელს დაიტევს.

● არბენტინის ჩემპიონატში ძალიან გაძნელდა მატჩების ჩატარება. „კოლონ“ — „უნიონის“ კლუბების შეხვედრაში ტრიბუნებიდან გამოსროლილმა ქვამ თავი გაუტეხა თანამსაჯს, რომელიც იძულებული გახდა მატჩის დამთავრებამდე დაეტოვებინა მინდორი. ფანატები ერთმანეთს დაერივნენ, რის შედეგადაც 8 გულშემატკივარმა მძიმე ტრავმა მიიღო.

● „ბოკა ხუნიორსის“ „ახალგამოჩეკილი ვარსკვლავი“ მარტინ პალერმო მინდვრიდან გააძევეს „ნიუელზ ოლდ ბოიზის“ გუნდთან შეხვედრაში. მაშინ, როცა პალერმომ გოლი გაიტანა, ტრუსი ჩაიწია და რამდენიმე საცეკვაო პა შეასრულა.

● ოქრო იტალიური კლუბი —„მილანი“ და ტურინის „იუვენტუსი“ თავიანთი ადვოკატების საშუალებით სწავლობენ „ბარსელონასაგან“ განთქმულ ნახევარმცველ რივალდოს შეძენის პირობებს. ასახელებენ სხვადასხვა თანხას, მაგრამ „ბარსელონა“ ჯერჯერობით მტკიცედ დგას — 100 მილიონ დოლარს ერთ ცენტსაც არ უკლებს. ეს ყველაფერი, ცხადია, იმიტომ კეთდება, რომ რივალდო, რომელიც ახლა „ბარსელონაში“ უძლიერესია, საერთოდ ვერავინ შეიძინოს.

● ბუნდესლიგის კლუბმა, ბერლინის „ჰერტამ“ გადაწყვეტილება მიიღო „დუისბურგთან“ მატჩში გაყიდული ყველა ბილეთიდან თითო მარკა კოსოვოს ალბანელი დევნილების დასახმარებლად გადარიცხოს.

● ჰოლანდიის თასის ნახევარფინალურ მატჩში ამსტერდამის „აიაქსსა“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ შორის („აიაქსმა“ მოიგო 2-1) დიდი აყალმაყალი ატყდა. დაიჭრა ორი პოლიციელი და ერთი გულშემატკივარი. 350 პოლიციელი აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა 32 ათას გულშემატკივარს შორის წესრიგის დასამყარებლად.

● „აიაქსის“ ჰაბუკთა გუნდში მოთამაშე კლარენს ზეედორფის ორმა უმცროსმა ძმამ გადაწყვიტა ჰოლანდიის დატოვება და ბედის საძებნელად ესპანეთში წასვლა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ხუან სებასტიან ვერონი ბედნიერია

არგენტინელი ფეხბურთელი ხუან სებასტიან ვერონი, პოპულარული გახდა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ და ახლა დიდი წარმატებით თამაშობს „პარმაში“. მას ესაუბრა ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი.

● ახლა ევროპაში ბევრი ახალგაზრდა არგენტინელი ფეხბურთელი გამოდის, რომლებიც თავიანთ კლუბებში წამყვან როლებს ასრულებენ. ეს, უბრალოდ, დამთხვევა ხომ არ არის?

— არა, უფრო ტრადიციაა ბრაზილიელი ფეხბურთელების მსგავსად. აქ ერთი თავისებურებაც უნდა აღინიშნოს. არგენტინულ კლუბებს არა აქვთ დიდი თანხები მაღალი კლასის ფეხბურთელების შესაძენად. ამიტომ ისინი ახალგაზრდა ტალანტებზე არიან დამოკიდებული, რომლებიც რაც შეიძლება მალე უნდა დაოსტატდნენ და ხელსაყრელ ფასად გაყიდონ. ჩვენ ყოველთვის გვყავდა ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი, მაგრამ ახლა მათი მიგრაცია უფრო გაფართოვდა. ასე რომ, ევროპაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩადიან ჩვენი 17-18 წლის მოთამაშეები, რომლებსაც სავსებით შეუძლიათ მაღალ დონეზე თამაში.

● როგორ მოახერხეთ იტალიურ ფეხბურთთან ასე სწრაფად და წარმატებით შეგუება?

— საქმე ის არის, რომ არგენტინელ ფეხბურთელთა თითქმის ნახევარი იტალიური წარმოშობისაა. ამიტომაც იოლად გავდივართ ხოლმე ადაპტაციის პერიოდს. თითქმის არა გვაქვს ნოსტალგიის გრძნობა, რომელიც ხშირად ახასიათებთ ბრაზილიელებს.

● ვინ არის თქვენი კერპი?

— დიეგო მარადონა, ჩემთვის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. იგი თვით ფეხბურთის განსახიერებაა. რაც შეეხება მარადონას ბედს, ჩემი აზრით, თითოეულმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს. არ მინდა (და არც შემიძლია) მისი და, თუ გნებავთ, ნებისმიერი სხვისაც, გამტყუნება.

● რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რაც იტალიაში თამაშობთ?

— ჩემი ყველაზე კარგი მატჩი „სამპდორიაში“ ვითამაშე, ორი წლის წინათ, როცა „პერუჯა“ დავამარცხეთ ანგარიში 5-3. მაშინ ორი გოლი გავიტანე. ყველაზე უარესად კი შარშანდელ სეზონში „ლაციოსთან“ ვითამაშე — წავაგეთ 0-3. ამას ჩვენი მწვრთნელის (ლუის სეზარ მენოტის) განთავისუფლება მოჰყვა. საუკეთესო გოლი ორი წლის წინათ „უდინეზეს“ კარში გავიტანე (4-1 ჩვენს სასარგებლოდ). სხვა სამახსოვრო მატჩებიდან უნდა ავღნიშნო დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატში იაპონიის ნაკრების წინააღმდეგ. იმ დღეს ცუდად ვითამაშე — ძალიან ვღელავდი.

● რატომ შეწყვიტეთ კარში ხშირი დარტყმა?

— ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. „სამპდორიაში“ წინ ვთამაშობდი, თავდამსხმელებთან ახლოს და ბევრი საგოლე მომენტიც მქონდა. ახლა „პარმაში“, მეტოქის კარისკენ ხშირად ზურგით ვარ შებრუნებული. მეტოქის კარში დარტყმას უფრო დიდი მანძილის დაფარვა სჭირდება. იტალიაში მიღებულია მოთამაშეების მჭიდრო „მეურვეობა“, განსაკუთრებით იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც თამაში მიჰყავთ, აქ ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევენ.

● რომელი პოზიცია უფრო მოგწონთ?

— ასეთი პოზიცია ბევრია, ყველაფერი თამაშის სტილზეა დამოკიდებული. „პარმაში“ გამთამაშებელი ვარ. ორი ჩვენი თავდამსხმელი — ერნან კრესპო და ენრიკო კიეზა ჩემზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული. ადრე „სამპდორიაში“ უფრო ტრადიციული ნახევარმცველის ფუნქციებს ვასრულებდი. თუმცა ისიც ითქმის, რომ ამ კლუბებს სულ სხვადასხვა მიზნები აქვთ დასახული. „სამპდორია“ უკეთეს შემთხვევაში უეფას თასზე მოხვედრაზე ოცნებობდა, „პარმა“ კი ჩემპიონობისათვის იბრძვის. ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო საპასუხისმგებლოა.

● „პარმას“ მწვრთნელი ალბერტო მალეზანი გაიძულებთ ბევრი იმუშაოთ, არა?

— დიახ, მაგრამ ვგრძნობ, რომ საკმარისი ძალა მაქვს. კარგი მზადყოფნა კი ჩვენი წინასასეზონო მომზადების შედეგია. მატჩი რომ მთავრდება, დაღლილობას კი ვგრძნობ, მაგრამ ძალაგამოცლილი არა ვარ. ასეა თუ ისე, იტალიაში ბევრი სირბილი გიხდება — ეს დამახასიათებელია ადგილობრივი ფეხბურთისათვის.

● გსურდათ „სამპდორიაში“ დარჩენა?

— გენუაში ბედნიერად ვცხოვრობდი, განსაკუთრებით პირველ წელს. ახლაც კარგად ვგრძნობდი თავს. ეს ქალაქი ძალიან შემიყვარდა, გულშემატკივრებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. მაგრამ „სამპდორია“ გამარჯვებისაკენ მაინცდამაინც არ მიისწრაფოდა, მე კი ისეთ დონეს მივაღწიე, რომ თამაშისაგან, სიამოვნების გრძნობის გარდა, სხვა, უფრო მეტი მინდოდა. ამიტომაც მივიღე „პარმას“ წინადადება, თუმცა „ლაციოსაც“ უნდოდა ჩემი შეძენა.

● რა გრძნობა გეუფლებათ, როცა მსოფლიო ჩემპიონატს იგონებთ?

— იმდენად იმედის გაცრუებას არა ვგრძნობ, რამდენადაც სიმწარეს. ჩვენ შეგვეძლო ნახევარფინალამდე მისვლა. ასეთი იყო ჩვენი მიზანი. საფრანგეთს თუ არ ჩავთვლით, ორ უძლიერეს ნაკრებთან შეხვედრა მოგვიხდა — ინგლისსა და ჰოლანდიასთან. ინგლისელებს პენალტების სერიით მოვუგეთ, მაგრამ ამ უაღრესად დაძაბული მატჩის 120 წუთის შემდეგ ვეღარ შევძელით ჰოლანდიელებთან ბოლომდე ბრძოლა.

● სანამ მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყებოდა, არგენტინელი ჟურნალისტები თქვენს ნაკრებს, ვინ იცის, რას არ აბრალებდნენ. რასთან იყო დაკავშირებული ესოდენ კრიტიკული დამოკიდებულება?

— ჩვენი მწვრთნელი (დანიელ პასარელა) პრესის წარმომადგენლებში ძალზე არაპოპულარული იყო და ეს ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ისინი ჩვენც ისევე გვესხმოდნენ თავს, როგორც პასარელას. ამის გაგება ძნელია. ასეთი კრიტიკა ხომ ჩვენს შედეგებზე მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა.

● ჩემპიონატის წინ იმაშიც გამტყუნებდნენ, რომ დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგები მოგვცა. ამაზე არაფითარი რეაქცია არ მოგიხდენიათ. რატომ?

— როცა პრესამ ჩემპიონატის დაწყების წინ ძალიან შემოგვიტია, გადავწყვიტეთ ასეთი სისულელისთვის ყურადღება არ მიგვექცია და მთლიანად ფეხბურთზე ვყოფილიყავით კონცენტრირებული.

● რომელმა ნაკრებმა გაგაოცათ ყველაზე მეტად?

— ხორვატიამ. გაგვაოცა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

● ვინ გაგიცრუათ იმედები?

— ბრაზილიელებმა. ისინი ფინალშიც რივალდოსა და რონალდოს წყალობით გავიდნენ.

● ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდა?

— ლიზარაზიუ.

● თქვენი აზრით, ზიდანი იმსახურებს საუკეთესო მოთამაშის წოდებას?

— ყველა როდი ახერხებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ორი გოლის გატანას. ეს თვით მარადონამაც ვერ შეძლო. ჩემი აზრით, ამ წოდებაზე პრეტენზია თანაბრად ჰქონდა ოთხ ფეხბურთელს: ტიურამს, რონალდოს, ბატისტუტასა და ზიდანს. უკანასკნელს უპირატესობა იმიტომ მიენიჭა, რომ ფინალში ორი ბურთი გაიტანა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ზიდანმა იტალიაშიც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა.

● როგორი ურთიერთობა გქონდათ პასარელასთან?

— ნორმალური, თუმცა დასაწყისში არც ისე შევეწყვეთ ერთმანეთს. იგი მეტისმეტად მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაგრამ ახლოს რომ გაიცნობ, პასარელას ბევრ დადებით თვისებასაც დაინახავ. მან ნაკრებში კარგი ატმოსფერო შეიქმნა. ახლაც ვუკავშირდებით ერთმანეთს ტელეფონით.

● იცნობთ არგენტინის ნაკრების ახალ მწვრთნელს მარსელო ბიელსას?

— სანამ ამ პოსტს დაიკავებდა, იგი არასოდეს მენახა და სახელიც კი არ გამეგონა. მან, ალბათ, თამაშის საკუთარი სტილი უნდა შექმნას, ან ტაქტიკა შეცვალოს, ან გუნდის შემადგენლობა. შეიძლება ერთის გაკეთებაც მოუხდეს და მეორისაც. იმედი მაქვს, არც მე დამივიწყებს.

● მოგწონთ მსოფლიო ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების იდეა?

— არა, არ მომწონს მსოფლიო ჩემპიონატი შორეულ მიზნად უნდა რჩებოდეს. დეე ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

● ამბობენ, რომ „ბარსელონაში“ თამაშზე ოცნებობთ. ასეა თუ არა?

— ვის არ უნდა მსოფლიოს ერთერთ უძლიერეს კლუბში თამაში? იმ ფეხბურთელისთვის, რომელსაც ამბიციები აქვს, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ კლუბებში თამაში, როგორიცაა „ბარსელონა“, „ინტერი“, „რეალი“, „იუვენტუსი“ ან „მანჩესტერ იუნაიტედი“. ეს კლუბები ფეხბურთის ისტორიას ქმნიან. ძალიან კარგი იქნებოდა რომელიმე ამ კლუბში მეთამაშა.

● ახლა, „პარმაში“ კარგად გრძნობთ თავს?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან კარგად წარიმართა. ახლა 23 წლისა ვარ. იმ საქმისათვის რომელიც ასე მომწონს, ძალიან კარგ ანაზღაურებას ვიღებ, იმდენად კარგს, რომ შემიძლია არა მარტო ჩემი და ჩემი ოჯახის, არამედ მეგობრების უზრუნველყოფაც. დიახ, ძალზე ბედნიერი ვარ. მინდა ათი წლის შემდეგაც ასევე კარგად ვიგრძნო თავი მინდორზე.

მოამზადა ბივი თორელმა

რა ხდება ქვეყანაზე...

ვის რად უნდა „გამეჩხერებული“ ნხლ

იმის გამო, რომ სულ უფრო ღრმავდება ფინანსური ხრამი მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის, პლანეტის უძლიერესი ჰოკეის ლიგა ნხლ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა და სულ უფრო ჰკარგავს გულშემატკივართა ადრინდელ მიმზიდველობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ სეზონის დასაწყისშივე შეიძლება ზუსტად განისაზღვროს გამარჯვების პრეტენდენტები და კონფედერაციების ის აუტსაიდერები, რომლებიც თავგანწირვით იბრძოლებენ „მზის ქვეშ“ ადგილისათვის. ეს იმიტომ რომ მათთვის ხელმოკლეობის გამო პრაქტიკულად მიუწვდომელია მაღალი კლასის მოთამაშეები. დიდი საგადასახადო თანხისა და არასტაბილური გამოსვლის გამო ლიგას გამოეთხოვნენ ახლო წარსულში პოპულარული კვებეკისა და ვინიპეგის კლუბები და რიგი ახლა „ედმონტონსა“ და „კალგარიზე“ მიდგა, რაც შეეხება ტორონტოსა და ოტავის კლუბებს, ახლანდელი წარმატების მიუხედავად, მაინც მყარად ვერ დგანან ფეხზე, ისევ და ისევ უსახსრობის გამო.

ახლა ოკეანესგაღმელი ანალიტიკოსები თავს იმტვრევენ გამოსავლის სხვადასხვა ვარიანტის ძიებაში.

გუდბაი, გრეტცკი!

38 წლის ამერიკელი პროფესიონალი ჰოკეისტი უეინ გრეტცკი ხმამაღლა, კარგა ხანს, თავის თავსაც ვერ გამოუტყდა, რომ იგი წავიდოდა დიდი სპორტიდან და დასრულდებოდა მისი, კარიერა. „მადროვეთ, ჯერ კიდევ ვფიქრობ, ალბათ ბოლო სიტყვას რამდენიმე დღეში, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩზე ვიტყვი“ — ეუბნებოდა გასულ კვირაში გრეტცკი ჟურნალისტებს. და აი, ეს დღეც დადგა, „მედისონ სკვერ გარდენში“ XX საუკუნის ცოცხალმა ლეგენდამ ბოლო მატჩი ითამაშა და ხოკეის გამოეთხოვა. გულშემატკივრებმა სიყვარულით გააცილეს არენიდან თავისი კერპი. ალბათ იმიტომ, რომ საკუთარი თავიც დაემშვიდებინათ და სპორტსმენიც, ტრიბუნებზე მოჩანდა თაყვანისმცემელთა ასეთი პლაკატიც: *„შენ სწორედ მოიქეცი!“*

უეინ გრეტცკი. დაიბადა 1961 წლის 26 იანვარს. სიმაღლე 180 სმ, წონა 80 კგ. 20 წელიწადი ნხლ-ში. სტენლის თასის ოთხგზის მფლობელია. ეროვნულ ნაკრებში სამჯერ მოიპოვა კანადის თასი, ერთხელ მეორე იყო, არის მსოფლიო თასის ვერცხლის და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, მიღებული აქვს 40-მდე სახელობითი პრიზი.

დარტყმა ასეთი უნდა

თერთმეტი წლის დანიელმა ჭაბუკმა აქსელ სერენსენმა ბურთის ძლიერი დარტყმით აფთიაქის ვიტრინა ჩაამსხვრია. მშობლებს აფთიაქარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოუხდათ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ აფთიაქარმა ფული უკან დააბრუნა, გარდა ამისა, ბიჭს სპორტული კოსტუმი და ახალი ბურთი აჩუქა.

საქმე ის იყო, რომ ჭაბუკმა ფეხბურთელმა ვიტრინის ჩამსხვრევას უძველესი ლარნაკიც მიაყოლა, რომელშიც აღმოჩნდა ვიღაცის მიერ ჩატოვებული რეცეპტი. ამ რეცეპტით აფთიაქარმა დაამზადა ხველების საწინააღმდეგო ვაჟინის ახალი სახეობა, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ანცი დარტყმა“ და დიდად პოპულარული გახდა, რამაც საგრძნობლად გაზარდა აფთიაქარის შემოსავალი.

საკუთარმა კედლებმა საბოლოოდ ვერ უშველა

როგორც ვიუწყებოდით, იტალიის ვაჟ კალათბურთელთა საკლუბო გუნდი „ბენეტონი“ (ქ. ტრევიზო) ისე გავიდა საპორტის თასის (ასე ეწოდება ახლა ევროპის თასს) ფინალში, რომ საპასუხო შეხვედრა არ უთამაშია კოსოვოს კონფლიქტის გამო იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტთან“. ამ თასის ფინალი ქალაქ სარაგოსაში გაიმართა ესპანეთის „პამესასა“ და „ბენეტონს“ შორის. მატჩის მსვლელობაში სტუმრები 18 ქულით იყვნენ წინ. „საკუთარი კედლების“ ფაქტორმა ნაწილობრივ მაინც გააკეთა თავისი საქმე და ეს სხვაობა მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე 2 ქულამდე დაიყვანეს 54:56, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს.

შემდეგ ქულა ქულას მისდევდა და „ბენეტონს“ გამარჯვება – 64:60 დათასი დარჩა. ახლა მისი მწვრთნელის, იუგოსლავიელი ჟელკო ობრადოვიჩის აქტივში ევროთასების ყველა ნომინაციის გათამაშების გამარჯვებაა: ბელგრადის „პარტიზანს“ აალებინა კორაჩის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასი, ესპანეთის „ხოვენდუტსა“ და „რეალს“ – ევროპის საკლუბო ჩემპიონობა, 1995 წელს კი „რეალმა“ მისი ხელმძღვანელობით იმავე ქ. სარაგოსაში გაიმარჯვა „ოთხთა ფინალში“.

ლამის მისწვდა რეკორდს

კალათბურთელ ვარსკვლავთა ტრადიციული კონკურსში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება კაუნასში, შედის – ბურთის ზემოდან კალათში ჩაგდებაც, ამჯერად მძლეოსნობაში სიმაღლეზე ხტომას უფრო ჰგავდა, რადგან თამასასავით თანდათან მაღლა იწევდა კალათი. კონკურსანტთა ხუთეულმა ბრძოლა დაიწყო „სტანდარტულ“ სიმაღლიდან 3,05 მ რომელზეც ჩვეულებრივ მაგრდება კალათი მატჩებსა და წვრთნაზე. შემდეგ იგი თანდათან მიწიდან მაღლა მიიწევდა: ვინც ზუსტად ვერ ახვედრებდა შიგ ბურთს, ეთიშებოდა ასპარეზობას, დანარჩენები უტევდნენ მომდევნო ზღუდეს.

საბოლოოდ, ჰაერი-99-ის მეფის ტიტული „ჟალგირისის“ ცენტრმა *ეურილიუს ჟუკაუსკასმა* დაისაკუთრა, მესამე ცდაზე დაამყარა ლიტვის რეკორდი – 3,50 მ. შემდეგ მან მსოფლიო რეკორდის დალაშქვრაც სცადა (თურმე ასეთი მიღწევაცაა დაფიქსირებული), მაგრამ კალათში, რომელიც იატაკიდან 3,55 მ-ზე იყო მიმაგრებული, ბურთი ვერ ჩააგდო.

ტოტო–ლოტო

ა.წ. 18 აპრილს საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ლატარია „ლოტო 6 — 42“-დან მე-15 ტირაჟში, თბილისელმა ლატარიის მოყვარულმა

მოიგო ჯეკპოტი, 46 785 ლარი!

ახალი საწყისი ჯეკპოტი, შეადგენს

30 000 ლარს!

შემდეგი ტირაჟი შედგება კვირას, 25 აპრილს.

ითამაშეთ „ტოტო-ლოტო“!

მძლეოსნობა ფეხმარდი კენიელები

აფრიკის ამ ქვეყნის წარმომადგენლები, რაც დრო გადის, უფრო დამაჯერებლად იმკვიდრებენ ლიდერობას გრძელ მანძილებზე რბენაში. ამ დღეებში მარათონელთა რამდენიმე ასპარეზობა გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს კენიელებმა თავიანთი სიძლიერე. ეს ეხება, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. როტერდამის ტრადიციულ მარათონში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ჯაფეტ კოსგეიმ – 2:07,11, ქალებში კი ეს დისტანცია ყველაზე ჩქარა დაფარა ტეკლა ლორუპემ – 2:22,49, იმავდროულად ლონდონის ტრადიციულ ტურნირში ახალი მსოფლიო რეკორდით ფინიშთან პირველი იყო აგრეთვე კენიელი ქალი ჯოის ჩეპჩუმბა – 2:23,22. აქვე ვიტყვით, რომ ამ შედეგის რეკორდად აღიარებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია – უკეთესი შედეგი შარშან ჰქონდა ზემოხსენებულ ლორუპეს – 2:20,47, მაგრამ ეს დრო ნაჩვენები იყო ვაჟებთან ერთად რბენაში, ლონდონში კი ქალები ცალკე ასპარეზობდნენ. ჩეპჩუმბამ ამჯერად ფინიშთან 230 ათასი აშშ დოლარის ჩეკი მიიღო: 55 ათასი – გამარჯვებისათვის, 25 ათასი ტრასის რეკორდისათვის, ამდენივე სწრაფი ფინიშისათვის და 125 ათასი მსოფლიო რეკორდისათვის. ნაგანოს ტრადიციული ტურნირი ვაჟებში ასევე კენიელმა ჯეკსონ კაბიტამ მოიგო – 2:13,26.

ბოსტონის 103-ე, ტრადიციულ მარათონში კენიელი ჯოზეფ ჩებეტი პირველი მივიდა ფინიშზე – 2:09,52, ქალებში კი ამჯერად ეთიოპიელმა ფატიმა რობამ იმარჯვა – 20:23,25. სტარტზე ბოსტონში 12.797 მორბენალი გამოვიდა, უფრო მეტი ამ მარათონის 100 წლისთავზე ასპარეზობდა – 38.708.

კრიმინალური ქრონიკა

...ისევ მარიხუანა

ამერიკის სტუდენტთა ლიგის ჩემპიონ კონექტიკუტის უნივერსიტეტის ლიდერი ხალიდ ელ-ამინი მარიხუანის შენახვის ბრალდებით დააპატიმრეს. მან რამდენიმე საათი დაჰყო პოლიციაში და კალათბურთელი გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ დათქმულ დღეს გამოცხადდება სასამართლოში. საქმე ისაა, რომ 19 წლის მცველი, რომელმაც განაცხადა კიდევ ერთ სეზონს დარჩება სტუდენტთა ლიგაში, ადრეც არ გამორჩეულა დიდი წესიერებით: მოსწავლეობისას მოუსწრია ცოლის შერთვა და გაყრა. იგი ორი შვილის მამაა.

FRANCE-98 | მხოლოდ მეკარეები (განაცხადით)

1. ბელგიის (ფოტო), 2. თარაზულად – კოლუმბიის, შვეულად – მექსიკის, 3. ირანის, 4. ჰოლანდიის, 5. იუგოსლავიის (სახელი), 6. ბრაზილიის, 7. ბელგიის, 8. პარაგვაის, 9. ჰოლანდიის, 10. დანიის, 11. ესპანეთის, 12. კორეის, 13. ავსტრიის (ფოტო). 14. აშშ-ის, 15. არგენტინის, 16. გერმანიის, 17. მაროკოსი, 18. თარაზულად – ბრაზილიის; შვეულად – ჩილესი (ფოტო), 19. იუგოსლავიის, 20 ინგლისის, 21. ხორვატიის, 22. საფრანგეთის, 23. კორეის, 24. ტუნისის, 25. მაროკოსი, 26. ჰოლანდიის, 27. რუმინეთის, 28. ავსტრიის (სახელი).



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ქინოლა, 3. ივერია, 5. შამათი, 7. აცტეკა, 10-12. სიჭინავა, 13. არახამია, 19. სპიტცი, 25. ხერგიანი, 26-27. ენდო, 30. ინსი, 31-33. სელეში, 34. კოჩიში, 36-38. ბასტია, 39. საპორო, 41-42. იერო, 45. ორსი. 46. ანკეტილი, 48. შტეინი, 52-55. მორელონი, 56. ნაკაიამა, 60. ენდერი, 61. აპოლი, 62. იკპება, 64. იფტერი.

შვეულად: 1. ქორდანია, 2. ანანდი. 3. იტალია, 4. ალანია, 5. შტანგა, 6. იარიგინი, 8-28. კაზირაგი, 9-29. კარტოზია, 16. ალემაო, 17. ინძაგი, 21. აბერდინი, 22. ბენეტონი, 23. ენდშპილი, 24. ალიოხინი, 42-50. ორტეგა. 43. შენგელია, 44. სტადიონი, 45-51. ოუენსი, 47. სასახარა, 49. იუგოვიჩი, 53. ემიანი, 54. ორტერი, 57. კანიჯა, 58. იურანი. **დიაგონალურად:** 1-11. ქირესი, 14-6. ანიელი, 18-3. არსენალი, 4-20. ასათიანი, 10-33. სარბიელი, 34-15. კონსილია, 18-32. ანთაძე, 35-20. ჩოგანი, 47-37. სპარტა, 40-49. რაუნდი. 52-38. მარლანია, 39-59. სალდანია, 47-62. სამპრასი, 63-49. აზარიანი, 61-53, არტიმე, 58-65. იაშინი.

ასე ფიქრობს ბორის სპასკი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბორის სპასკიმ კორესპონდენტთან საუბარში გაიხსენა ის პირობები, რამაც მას გვირგვინის დაუფლების საშუალება მისცა. ეს იყო შესანიშნავი ჯანმრთელობა, ნიჭი, და, მისი აზრით, უპირველესი ღირსება — საკუთარი თავისადმი პატიოსანი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭირო იყო ძალიან ძლიერი ნებისყოფაც.

სპასკის აზრით, ახლა მოთამაშე მოჭადრაკეებს შორის ძალზე ძლიერი ნებისყოფა აქვს ვეტერან ვიქტორ კორჩნოის. ამ თვალსაზრისით, ანატოლი კარპოვი აღემატება გარი კასპაროვს.

ექს-ჩემპიონი ამტკიცებს, რომ ბრძოლა უმაღლეს დონეზე მოჭადრაკეებს გარკვეულ ეგოცენტრიზმს გამოუმუშავებს. მისი საერთო სიმპტომებია მტრული განწყობილება, ეჭვიანობა და დევნილობის მანიის კომპლექსიც კი. თავისი აზრის დადასტურების მიზნით სპასკიმ კორესპონდენტს სთხოვა შეეხედა ზოგიერთი ოსტატების ფოტოსურათებისათვის თამაშის დროს. მათ სახეებზე აშკარად ჩანს ნერვული დაძაბულობა, თუ როგორი შინაგანი მღელვარება აქვთ მოჭადრაკეებს თამაშში.

მოკლედ...

● **თანამედროვე ხუთჭიდი.** იუნიორთა ევროპის პირად-გუნდური პირველობა. სეკეშფეხერვარი (უნგრეთი): 1. ალექსეი ტურკინი (რუსეთი) – 5406, 2. სტეფან პეტჩე (იტალია) – 5384, 3. ვიქტორ ხორვარდი (უნგრეთი) – 5312. ***გუნდური:*** 1. რუსეთი – 15495, 2. იტალია – 15454, 3. უნგრეთი – 15.435. ***ქალები:*** 1. ტატიანა მურატოვა (რუსეთი) – 5242, 2. ნორა სიმონა (უნგრეთი) – 5070, 3. ანუკ სენდჯორჯი (საფრანგეთი) – 5048. ***გუნდური:*** 1. რუსეთი – 15097, 2. უნგრეთი – 14926, 3. ბელარუსი – 14599.

● **ცხენოსნობა.** დორტმუნდი. მსოფლიო თასის ფინალი ცხენის გაწვრთაში: 1. ანკე ვან გრიუნსვეენი (ჰოლანდია), 2. იზაბელ ვერტი, 3. ალექსანდრა სიმონს-დე რიდერი (ორივე – გერმანია). ადგილები ასეთივე თანმიმდევრობით განაწილთა საბოლოო ჩათვლაში.

● **ფარიკაობა.** მსოფლიო თასის ეტაპი. გუნდური. ქ. ნანსი. ხმალი: 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. პოლონეთი. ქ. ხაიდენხაიმში ევროპის თასის საკლუბო გუნდებს შორის მოიგეს ფრანგებმა, რომლებმაც სძლიეს პოლონელებს 45:39.

● **საგზატკეცილო ველორბოლა.** სარნიკო. ტრადიციული მრავალდღიანი. მე-5 ეტაპი, 175 კმ: 1. ნიკოლა მინალი (იტალია) – 3:56,05, 2. იან სვორადა (ჩეხეთი), 3. ივან კარანტა (იტალია). საფინალო კლასიფიკაცია: 1. რაიმონდას რუმშარი (ლიტვა), 2. ნიკოლა მიჩელი (იტალია), 3. ენრიკო ძაინა (იტალია).

● **მოტოსპორტი.** მალაიზია. მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. საგზატკეცილო-წრიული რბოლა: 1. კენი რობერტსი (აშშ), 2. კარლოს ჩეკა, 3. ალექს კრივილი (ორივე – ესპანეთი).

საჭადრაკო ამოცანა

1873 წელს ჟურნალ „მსოფლიო ილუსტრაციაში“ პირველად გამოქვეყნდა ამოცანა, რომლის შემდგენელი იყო მოჭადრაკე ქალი შულდინა-ტოლსტაია (როსლავლი). *იხ. დიაგრამა.*



შამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფd2!
1. ...d4 2. ე:f5X. 1. ...მფd4 2. მf3X.
1. ...მფf4 4. კg3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე